

გიორგი ლანჩავა
გულიკო ორთოიძე

კიბერდამნაშავეობის შესახებ ევროპული კონვენცია
და
მასთან დაკავშირებული საერთაშორისო დოკუმენტები

(ქართულ და ინგლისურ ენებზე)

თ ბ ი ლ ი ს ი
2008

TBILISI 2008

კიბერდამნაშავეობის შესახებ ევროპული კონვენცია
და
მასთან დაკავშირებული საერთაშორისო დოკუმენტები

(qarTul da inglisur enebze)

European convention on cybercrime and
several international documents about it

(In Georgian and English languages)

რედაქტორი: ნანა კემულარია
თარგმანი: ირინა ჯაფარიძე

ქართული თარგმანი არ ატარებს ოფიციალურ ხასიათს

თარგმანზე საავტორო უფლება ეკუთვნის
გიორგი ლანჩავას და გულიკო ორთოიძეს

ყველა უფლება დაცულია

©გიორგი ლანჩავა, გულიკო ორთოიძე, 2008

ISBN 978-9941-0-0905-1

ავტორების აგან

«კიბერდამნაშავეობის შესახებ» ევროპული კონვენცია და მასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხასიათის დოკუმენტთა კრებული მომზადდა და გამოიცა ჩვენს მიერ.

ვფიქრობთ, რომ იურიდიული საზოგადოებისათვის აღნიშნული სამართლებრივი აქტების გაცნობა, თავის მხრივ, წაადგება კომპიუტერული ინფორმაციის სფეროში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას საქართველოში, შემდგომში კი «კიბერდამნაშავეობის შესახებ» ევროპული კონვენციის მომავალში რატიფიკაციისა და იმპლემენტაციის პროცესებს; იმდენად, რამდენადაც «კიბერდამნაშავეობის შესახებ» ევროპული კონვენცია საქართველოს მიერ ჯერჯერობით მხოლოდ ხელმოწერილია, ხოლო მისი რატიფიცირება წესით ახლო მომავალში უნდა მოხდეს.

ეს კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციისაკენ, განსაკუთრებით, კიბერდამნაშავეობის სფეროში.

ასეთი ხასიათის სამართლებრივი დოკუმენტაციის გამოცემა და დაინტერესებულ პირთათვის წიგნის სახით მიწოდება საქართველოში პირველად ხდება. მოხარულნი ვართ, რომ მოგვეცა საშუალება, მკითხველი ვაზიაროთ მსოფლიოში სამართლებრივი განვითარების ბოლო მიღწევებს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში.

წიგნი განკუთვნილია როგორც იურისტთა ფართო წრისათვის, ასევე, აღნიშნული სფეროთი დაინტერესებულ პირთათვის.

გიორგი ლანჩავა
გულიკო ორთოიძე

ს ა რ ჩ ე ვ ი :

კიბერდამნაშავეობის შესახებ ევროპული კონვენცია;

კიბერდამნაშავეობის შესახებ ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი, კომპიუტერული სისტემების მეშვეობით ჩადენილი რასისტული და ქსენოფობიური ხასიათის ქმედებათა კრიმინალიზაციის შესახებ;

პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ კონვენცია ;

იუსტიციის მინისტრთა 21-ე კონფერენციის რეზოლუცია №1;

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R(89)9 წვერი სახელმწიფოების მიმართ კომპიუტერული დანაშაულის შესახებ;

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R(85)10 წვერი სახელმწიფოების მიმართ სატელეკომუნიკაციო ინფორმაციის მოხსნის შესახებ სასამართლოს დავალებასთან მიმართებით სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ ევროპული კონვენციის პრაქტიკული გამოყენების შესახებ;

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R(88)2 წვერი სახელმწიფოების მიმართ საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში მეკობრეობასთან ბრძოლის შესახებ;

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის № 215 განკარგულება.

c o n t e n t s :

CONVENTION ON CYBERCRIME;

ADDITIONAL PROTOCOL TO THE CONVENTION ON CYBERCRIME, CONCERNING THE CRIMINALISATION OF ACTS OF A RACIST AND XENOPHOBIC NATURE COMMITTED THROUGH COMPUTER SYSTEMS;

CONVENTION FOR THE PROTECTION OF INDIVIDUALS WITH REGARD TO AUTOMATIC PROCESSING OF PERSONAL DATA ;

RESOLUTION No. 1, 21st CONFERENCE OF THE EUROPEAN MINISTERS OF JUSTICE, Prague, June 10-11, 1997;

RECOMMENDATION No. R (89) 9 OF THE COMMITTEE OF MINISTERS TO MEMBER STATES ON COMPUTER-RELATED CRIME;

RECOMMENDATION No. R (85) 10 OF THE COMMITTEE OF MINISTERS TO MEMBER STATES CONCERNING THE PRACTICAL APPLICATION OF THE EUROPEAN CONVENTION ON MUTUAL ASSISTANCE IN CRIMINAL MATTERS IN RESPECT OF LETTERS ROGATORY FOR THE INTERCEPTION OF TELECOMMUNICATIONS;

RECOMMENDATION No. R (88) 2 OF THE COMMITTEE OF MINISTERS TO MEMBER STATES ON MEASURES TO COMBAT PIRACY IN THE FIELD OF COPYRIGHT AND NEIGHBOURING RIGHTS.

კიბერდამნაშავეობის შესახებ ევროპული კონვენცია

პრეამბულა

ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნები და ამ შეთანხმებაზე ხელისმომწერი სხვა ქვეყნები;

ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანი არის მის წევრებს შორის უფრო ღრმა სოლიდარობის მიღწევა;

აღიარებენ რა იმ ფაქტს, თუ რამდენად ღირებულია ამ კონვენციაზე ხელის მომწერი სხვა წევრი ქვეყნების თანამშრომლობის წახალისება;

სჯერათ რა, რომ, როგორც პრიორიტეტი, საჭიროა სისხლის სამართლის საერთო პოლიტიკის მიღწევა, რომელიც მიზანმიმართული იქნება კომპიუტერული დანაშაულისაგან საზოგადოების დაცვისაკენ, *inter alia*, სათანადო კანონმდებლობის მიღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობით;

აცნობიერებენ რა კომპიუტერიზაციის, კომპიუტერული ქსელების გაერთიანებისა და განგრძობითი გლობალიზაციის მიერ მოტანილ ღრმა ცვლილებებს;

ითვალისწინებენ რა იმ რისკს, რომ კომპიუტერული ქსელები და ელექტრონული ინფორმაცია შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს დანაშაულის ჩასადენად და რომ ამგვარ დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულება შეიძლება ინახებოდეს ან გადაიცემოდეს ამ ქსელების მიერ;

აღიარებენ რა კომპიუტერულ დანაშაულთან ბრძოლაში სახელმწიფოებსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის საჭიროებას; და ასევე, ინფორმაციულ ტექნოლოგიათა გამოყენებისა და განვითარების კანონიერი ინტერესების დაცვის საჭიროებას;

სჯერათ რა, რომ კომპიუტერული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა მოითხოვს მზარდ, სწრაფ და ეფექტურ საერთაშორისო თანამშრომლობას სისხლის სამართლის საკითხებში;

დარწმუნებულნი არიან რა იმაში, რომ მოცემული კონვენცია აუცილებელია, რათა აღკვეთოს კომპიუტერული სისტემების, ქსელებისა და კომპიუტერული მონაცემების კონფიდენციალურობის, ერთიანობისა და ხელმისაწვდომობის წინააღმდეგ მიმართული ქმედება ისევე, როგორც ამგვარ სისტემათა, ქსელთა და მონაცემთა ბოროტად გამოყენება ამ ქმედებათა კრიმინალიზაციით ამ კონვენციის შესაბამისად; აგრეთვე, შესაბამისი ორგანოებისათვის ასეთ დანაშაულებთან ბრძოლისათვის საჭირო იმ საკმარისი ძალაუფლების მინიჭებით, რომელიც გააადვილებს მათ გამოვლენას, გამოძიებასა და სასამართლო წესით დევნას როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო დონეზე; სწრაფი და სანდო საერთაშორისო თანამშრომლობისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფით;

აცნობიერებენ რა იმის საჭიროებას, რომ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მართებული ბალანსი კანონის დაცვასა და ადამიანის ძირითად უფლებათა პატივისცემას შორის, ისე, როგორც ეს

გათვალისწინებულია 1950 წლის ევროპის საბჭოს კონვენციით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, 1966 წლის გაეროს საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ და სხვა შესაფერის საერთაშორისო უფლებათა ხელშეკრულებებში, რომლებიც კიდევ ერთხელ ადასტურებს ყველას უფლებას, ჰქონდეს საკუთარი შეხედულება სხვისი ჩარევის გარეშე; ასევე, გამოხატვის თავისუფლების უფლებას, მათ შორის უფლებას, მოიძიოს, მიიღოს და გასცეს ყველა სახის ინფორმაცია და იდეები შეზღუდვის გარეშე; და ასევე იმ უფლებებს, რომლებიც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემას ეხება;

აცნობიერებენ რა აგრეთვე პირად მონაცემთა დაცვის უფლებას, როგორც ეს, მაგალითად, განხილულია 1981 წლის ევროპის საბჭოს კონვენციაში¹ პირთა დაცვის თაობაზე პირად მონაცემთა ავტომატურ დამუშავებასთან კავშირში;

ითვალისწინებენ რა 1989 წლის გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციას და 1999 წლის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციას ბავშვის შრომის ყველაზე მაღელ ფორმების შესახებ;

მხედველობაში იღებენ რა ევროპის საბჭოს არსებულ კონვენციებს სასჯელადსრულების სფეროში თანამშრომლობის შესახებ, ისევე, როგორც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებსა და სხვა სახელმწიფოებს შორის არსებულ მსგავს ხელშეკრულებებს და ხაზს უსვამენ რა იმ ფაქტს, რომ მოცემული კონვენცია მიზნად ისახავს ამ კონვენციათა შევსებას, რათა კომპიუტერულ სისტემებსა

¹ იხილეთ აქვე 63-ე გვერდზე.

და მონაცემებთან დაკავშირებულ დანაშაულთა გამოძიება და დევნა გახდეს უფრო ეფექტური და რომ ხელი შეუწყოს სისხლის სამართლის დანაშაულთა მტკიცებულების ელექტრონული ფორმით შეგროვებას;

მიესაღმებინა რა იმ თანამედროვე მიღწევებს, რომლებიც კიდევ უფრო განავითარებს საერთაშორისო ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობას კომპიუტერულ დანაშაულთან ბრძოლაში, მათ შორის გაეროს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, ევროკავშირისა და “დიდი რვიანის” მიერ განხორციელებულ საქმიანობას;

ითვალისწინებენ რა მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებს: რეკომენდაცია № (85) 10, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის საკითხებში ურთიერთდახმარების შესახებ ევროპის კონვენციის გამოყენებას სატელეკომუნიკაციო ინფორმაციის დაუფლების მოთხოვნით²; რეკომენდაცია № (88) 2 საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროში დარღვევათა თაობაზე³; რეკომენდაცია № (87) 15 პოლიციის სექტორში პირად მონაცემთა გამოყენების რეგულირების თაობაზე; რეკომენდაცია № (95) 4 სატელეკომუნიკაციო სფეროში, განსაკუთრებით სატელეფონო სამსახურში პირად მონაცემთა დაცვის თაობაზე ისევე, როგორც რეკომენდაცია № (89) 9 ეროვნული საკანონმდებლო ხელისუფლებისათვის კომპიუტერთან დაკავშირებულ დანაშაულზე სახელმძღვანელო პრინციპების უზრუნველყოფის

² იხილეთ აქვე 83-ე გვერდზე.

³ იხილეთ აქვე 87-ე გვერდზე.

თაობაზე⁴, რომელიც რიგ კომპიუტერულ დანაშაულთა განსაზღვრებებს ეხება და რეკომენდაცია № (95) 13 რომელიც ეხება სისხლის სამართლის პროცესის პრობლემებს ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით;

განიხილეს რა ევროპის იუსტიციის მინისტრთა მიერ 21-ე კონფერენციაზე (პრაღა, 1997 წლის 10 და 11 ივნისი) მიღებული №1 რეზოლუცია⁵, რომელიც ითვალისწინებს, რომ მინისტრთა კომიტეტი მხარს უჭერს დანაშაულის პრობლემათა ევროპული კომიტეტის (CDPC) მიერ კომპიუტერული დანაშაულის წინააღმდეგ განხორციელებულ მუშაობას, რომელიც მიმართულია შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის დებულებათა ერთმანეთთან დაახლოვებისა და ასეთ დანაშაულთა გამოძიების ეფექტურ საშუალებათა გამოყენებისაკენ; აგრეთვე ევროპის იუსტიციის მინისტრთა 23-ე კონფერენციაზე (ლონდონი, 2000 წლის 8 და 9 ივნისი) მიღებულ №3 რეზოლუცია, რომელიც მონაწილე მხარეებს მოუწოდებდა, თავიანთი ძალისხმევა მიემართათ საკითხთა ისეთ შესაფერის გადაწყვეტილებათა მიღწევისაკენ, რომელიც რაც შეიძლება მეტ სახელმწიფოს მისცემდა საშუალებას, გამხდარიყო ამ კონვენციის მონაწილე და რომელიც აღიარებდა საერთაშორისო თანამშრომლობის სწრაფი და ეფექტური სისტემის აუცილებლობას; იმ სისტემისა, რომელიც სათანადოდ ითვალისწინებს კომპიუტერული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის განსაკუთრებულ მოთხოვნებს;

⁴ იხილეთ აქვე 82-ე გვერდზე.

⁵ იხილეთ აქვე მე-80 გვერდზე.

განიხილეს რა აგრეთვე ევროპის საბჭოს სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურთა მიერ მეორე სამიტზე (სტრასბურგი, 1997 წლის 10 და 11 ოქტომბერი) მიღებული სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანი იყო ევროპის საბჭოს სტანდარტებსა და ღირებულებებზე დაფუძნებულ ახალ ინფორმაციულ ტექნოლოგიათა განვითარების თაობაზე საერთო გადაწყვეტილებების მოძიება;

შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I ტერმინების გამოყენება

მუხლი 1. განსაზღვრებები ამ კონვენციის მიზნებისათვის:

ა) “კომპიუტერული სისტემა” – ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ ან ურთიერთდაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელთაგან ერთი ან მეტი, პროგრამის მეშვეობით, ასრულებს მონაცემთა ავტომატურ დამუშავებას;

ბ) “კომპიუტერული მონაცემები” – ფაქტების, ინფორმაციის ან კონცეფციათა ნებისმიერი გამოსახვა კომპიუტერულ სისტემაში დამუშავებისათვის ხელსაყრელი ფორმით, მათ შორის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას;

გ) “მომსახურების მომწოდებელი”

1. ნებისმიერი საჯარო ან კერძო პირი, რომელიც მისი სერვისის მომხმარებლებს უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის საშუალებით ურთიერთობის შესაძლებლობით, და

2. ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც გადაამუშავებს ან ინახავს კომპიუტერულ მონაცემებს ამგვარი საკომუნიკაციო მომსახურების ან ამგვარი მომსახურების მომხმარებელთა სახელით.

დ) “ინტერნეტ-ტრაფიკის მონაცემები” – კომუნიკაციებთან დაკავშირებული და კომპიუტერული სისტემის მიერ გენერირებული ნებისმიერი კომპიუტერული მონაცემები, რომელიც წარმოადგენს კომუნიკაციათა ჯაჭვის ნაწილს, მიუთითებს კომუნიკაციის წყაროს, დანიშნულების ადგილს, მიმართულებას, დროს, თარიღს, ზომას, ხანგრძლივობას, ძირითადი მომსახურების ტიპს.

თავი II ეროვნულ დონეზე მისაღები ზომები

ნაწილი 1 სისხლის სამართლის მატერიალური კანონმდებლობა

კარი 1 კომპიუტერულ მონაცემთა და სისტემათა კონფიდენციალურობის, ერთიანობისა და

ხელმისაწვდომობის წინააღმდეგ ჩადენილი
დანაშაულები

მუხლი 2. უნებართვო დაშვება

ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მოახდენს მთლიან კომპიუტერულ სისტემაზე ან მის ნაწილზე უნებართვო შეღწევის კრიმინალიზაციას, თუ ეს ქმედება წინასწარ განზრახვითაა ჩადენილი. მონაწილე სახელმწიფომ შეიძლება მოითხოვოს, რომ დანაშაულის ჩადენის პირობად ჩაითვალოს უსაფრთხოების ზომების დარღვევა კომპიუტერული მონაცემების მოპოვების ან სხვა არაკეთილსინდისიერი განზრახვით; ან სხვა კომპიუტერულ სისტემასთან კავშირში, რომელიც შეერთებულია მეორე კომპიუტერულ სისტემასთან.

მუხლი 3. მონაცემთა ხელში ჩაგდება ნებართვის გარეშე

ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მოახდენს კომპიუტერული სისტემისთვის, სისტემიდან ან მის ფარგლებში არასაჯარო კომპიუტერულ მონაცემთა გადაცემის, მათ შორის კომპიუტერული სისტემიდან ამგვარ კომპიუტერულ მონაცემთა მატარებელი ელექტრომაგნიტური ტალღების ემისიის უნებართვო ხელში ჩაგდების კრიმინალიზაციას, როცა ეს ქმედება

ტექნიკური საშუალებებითაა განხორციელებული და თუ იგი წინასწარი განზრახვითაა ჩადენილი. მონაწილე სახელმწიფომ შეიძლება მოითხოვოს, რომ დანაშაულის ჩადენის პირობად ჩაითვალოს არაკეთილსინდისიერი განზრახვა ან ქმედების ჩადენა კომპიუტერული სისტემის წინააღმდეგ, რომელიც შეერთებულია მეორე კომპიუტერულ სისტემასთან.

მუხლი 4. მონაცემთა ხელყოფა

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მოახდენს კომპიუტერულ მონაცემთა უნებართვო დაზიანების, წაშლის, გაუარესების, შეცვლის ან გადამალვის კრიმინალიზაციას, თუ ეს ქმედება წინასწარ განზრახვითაა ჩადენილი.

2. მონაწილე სახელმწიფოს აქვს უფლება, მოითხოვოს, რომ პირველ ნაწილში აღწერილი ქმედების შედეგი არსებითი ზიანის მომტანი უნდა იყოს.

მუხლი 5. სისტემაში ჩარევა

ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მოახდენს კომპიუტერულ მონაცემთა შეყვანის, გადაცემის, დაზიანების, წაშლის, გაუარესების, შეცვლის ან გადამალვის გზით, ნებართვის გარეშე კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირების არსებითი შეფერხების

კრიმინალიზაციას, თუ ეს ქმედება წინასწარ განზრახვითაა ჩადენილი.

მუხლი 6. მოწყობილობათა ბოროტად გამოყენება

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მოახდენს წინასწარ განზრახვითა და უნებართვოდ ჩადენილ შემდეგ ქმედებათა კრიმინალიზაციას:

ა. წარმოება, გაყიდვა, მომარაგება, იმპორტი, გავრცელება ან ხელმისაწვდომობა

I. იმ მოწყობილობისა, კომპიუტერული პროგრამის ჩათვლით, რომელიც შექმნილი ან ადაპტირებულია ძირითადად მე-2-5 მუხლების ჩათვლით გათვალისწინებულ ნებისმიერ დანაშაულთა ჩადენის მიზნით;

II. კომპიუტერული პაროლის, დაშვების კოდის ან მსგავსი მონაცემისა, რომლითაც შესაძლებელია მთლიან კომპიუტერულ სისტემაზე ან მის ნაწილზე დაშვების მიღწევა, იმ განზრახვით, რომ ის გამოყენებულ იქნება მე-2-5 მუხლების ჩათვლით გათვალისწინებულ ნებისმიერ დანაშაულთა ჩადენის მიზნით; და

ბ. ა.I ან ა.II ქვეპუნქტებში ხსენებული საგნის ფლობა იმ განზრახვით, რომ ის გამოყენებულ იქნება მე-2-5 მუხლების ჩათვლით გათვალისწინებულ ნებისმიერ დანაშაულთა ჩადენის მიზნით. მონაწილე სახელმწიფოს აქვს კანონიერი უფლება, მოითხოვოს ამგვარი საგნების გარკვეული რაოდენობის ფლობა, როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი.

2. ეს მუხლი არ უნდა განიმარტებოდეს, როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება ამ მუხლის პირველ ნაწილში მოხსენიებული წარმოების, გაყიდვის, მომარაგების, იმპორტის, გავრცელების ან სხვაგვარი ხელმისაწვდომობის ან ფლობის ისეთი ქმედებისათვის, რომლის მიზანიც არაა ამ კონვენციის მე-2-5 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. ამგვარი ქმედების მაგალითი შეიძლება იყოს კომპიუტერული სისტემის ნებადართული ტესტირება ან დაცვა.

3. ყველა მონაწილე სახელმწიფოს აქვს უფლება, არ გამოიყენოს ამ მუხლის პირველი ნაწილი იმ პირობით, რომ ამგვარი დათქმა არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი ნაწილის ა.II ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგნების გაყიდვის, გავრცელებისა და სხვაგვარად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ქმედებებზე.

კარი 2

კომპიუტერთან დაკავშირებული დანაშაულები

მუხლი 7. კომპიუტერთან დაკავშირებული გაყალბება

ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მოახდენს წინასწარ განზრახვითა და უნებართვოდ კომპიუტერულ მონაცემთა ჩადების, შეცვლის, წაშლის ან დაფარვის კრიმინალიზაციას, რომლის შედეგიცაა გაყალბებულ

მონაცემთა მიღება იმ განზრახვით, რომ ამგვარი მონაცემები გასაღდეს როგორც უტყუარი, ან კანონიერი მიზნით გამოიყენებოდეს როგორც უტყუარი, განურჩევლად იმისა, თუ რამდენად კითხვადი და გარჩევადია ეს მონაცემები. მონაწილე სახელმწიფო უფლებამოსილია, მოითხოვოს თაღლითური ან მსგავსი არაკეთილსინდისიერი განზრახვის არსებობა, როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი.

მუხლი 8. კომპიუტერთან დაკავშირებული თაღლითობა

ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მოახდენს წინასწარ განზრახვითა და უნებართვოდ ჩადენილი იმ ქმედების კრიმინალიზაციას, რომელსაც შედეგად მოჰყვა სხვა პირის ქონების დაკარგვა და რომელიც ჩადენილ იქნა შემდეგი გზით:

ა. კომპიუტერული მონაცემების ნებისმიერი ფორმით შეყვანა, შეცვლა, წაშლა ან გადამალვა,

ბ. კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებაში ნებისმიერი სახით ჩარევა, თაღლითური ან სხვა არაკეთილსინდისიერი განზრახვით საკუთარი ან სხვისი ეკონომიკური სარგებელის უნებართვოდ მიღების მიზნით.

კარი 3

შინაარსთან დაკავშირებული დანაშაულები

მუხლი 9. ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული დანაშაულები

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მოახდენს წინასწარი განზრახვითა და მართლსაწინააღმდეგოდ ჩადენილ შემდეგ ქმედებათა კრიმინალიზაციას:

ა. ბავშვთა პორნოგრაფიის შექმნა კომპიუტერული სისტემის საშუალებით მისი გავრცელების მიზნით;

ბ. ბავშვთა პორნოგრაფიის შეთავაზება ან ხელმისაწვდომობა კომპიუტერული სისტემის საშუალებით;

გ. ბავშვთა პორნოგრაფიის გავრცელება ან გადაცემა კომპიუტერული სისტემის საშუალებით;

დ. ბავშვთა პორნოგრაფიის მიღება თავისთვის ან სხვისთვის კომპიუტერული სისტემის საშუალებით;

ე. ბავშვთა პორნოგრაფიის ფლობა კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შემნახავი საშუალებით.

2. პირველი ნაწილის მიზნებისათვის, ტერმინი “ბავშვთა პორნოგრაფია” მოიცავს იმ პორნოგრაფიულ მასალას, რომელიც ვიზუალურად გამოსახავს:

ა. აშკარად სქესობრივი ხასიათის ქმედებით დაკავებულ არასრულწლოვანს;

ბ. აშკარად სქესობრივი ხასიათის ქმედებით დაკავებულ ადამიანს, რომელიც არასრულწლოვანად გამოიყურება;

გ. აშკარად სქესობრივი ხასიათის ქმედებით დაკავებული არასრულწლოვანის რეალობასთან დაახლოებულ გამოსახულებებს.

3. მე-2 ნაწილის მიზნებისათვის, ტერმინი “არასრულწლო ვანი” მოიცავს 18 წლამდე ყველა პირს. ამასთან, მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს ნაკლები ასაკობრივი ზღვარი, რომელიც არ იქნება 16 წელზე ნაკლები.

4. ყველა მონაწილე სახელმწიფო უფლებამოსილია, გააკეთოს დათქმა ამ მუხლის 1(დ), 1(ე), 2(ბ) და 2(გ) ქვეპუნქტების გამოუყენებლობის თაობაზე.

კარი 4

საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევებთან დაკავშირებული დანაშაულები

მუხლი 10. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევებთან დაკავშირებული დანაშაულები

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მოახდენს სარგებლის მიღების მიზნით, კომპიუტერული სისტემის საშუალებით განზრახი ქმედებით ჩადენილ საავტორო უფლებათა დარღვევის კრიმინალიზაციას, როგორც ეს განსაზღვრულია ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით და რისი ვალდებულებაც ამ სახელმწიფომ იკისრა ლიტერატურულ და მხატვრულ ნაშრომთა დაცვის

ბერნის კონვენციის, ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ვაჭრობასთან დაკავშირებულ ასპექტებზე ხელშეკრულებისა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეკრულებაზე დაყრდნობით მიღებული 1971 წლის 24 ივლისის პარიზის აქტით (გარდა ამ კონვენციებით მინიჭებული მორალური ხასიათის უფლებებისა).

2. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მოახდენს სარგებლის მიღების მიზნით, კომპიუტერული სისტემის საშუალებით განზრახი ქმედებით ჩადენილ მომიჯნავე უფლებათა დარღვევის კრიმინალიზაციას, როგორც ეს განსაზღვრულია ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით და რისი ვალდებულებაც ამ სახელმწიფომ იკისრა შემსრულებლების, ფონოგრამების პროდიუსერთა და სამაუწყებლო ორგანიზაციათა საერთაშორისო კონვენციის (რომის კონვენცია); ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ვაჭრობასთან დაკავშირებულ ასპექტებზე ხელშეკრულებისა; და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის შესრულებისა და ფონოგრამების შესახებ ხელშეკრულების თანახმად (გარდა ამ კონვენციებით მინიჭებული მორალური ხასიათის უფლებებისა).

3. მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს, რიგ შემთხვევებში, არ დააკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, იმ პირობით, რომ არსებობს სხვა, უფრო ეფექტური საშუალება და რომ ამგვარი დათქმით მონაწილე სახელმწიფო არ უხვევს იმ საერთაშორისო

ვალდებულებებს, რომლებიც ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით მოხსენიებული საერთაშორისო დოკუმენტებითაა გათვალისწინებული.

კარი 5

დამატებითი პასუხისმგებლობა და სანქციები

მუხლი 11. მცდელობა და ხელშეწყობა ან წაქეზება

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მოახდენს ამ კონვენციის მე-2-10 მუხლებით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაულის ჩასადენად წინასწარი განზრახვით ხელშეწყობის ან წაქეზების კრიმინალიზაციას, თუ ამ დანაშაულის ჩადენის განზრახვა არსებობს.

2. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მოახდენს ამ კონვენციის მე-3-5, მე-7, მე-8 მუხლებითა და 9.1(ა) და 9.1(გ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენის მცდელობის კრიმინალიზაციას, თუ ეს ქმედება წინასწარი განზრახვითაა ჩადენილი.

3. ყველა მონაწილე სახელმწიფოს აქვს უფლება, არ გამოიყენოს ამ მუხლის მე-2 ნაწილი მთლიანად ან ნაწილობრივ.

მუხლი 12. იურიდიული პირის პასუხისმგებლობა

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს ამ კონვენციის მიერ გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩამდენ იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობას, თუ ეს ქმედება ჩადენილია მათ სასარგებლოდ ნებისმიერი ფიზიკური პირის მიერ ინდივიდუალურად, თუ როგორც იურიდიული პირის ორგანოს იმ წარმომადგენლის მიერ, რომელსაც ამ დაწესებულებაში უკავია წამყვანი თანამდებობა, რაც თავის მხრივ ეფუძნება შემდეგს:

ა. იურიდიული პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება;

ბ. იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილებათა მიღების უფლებამოსილება;

გ. იურიდიული პირის მართვის უფლებამოსილება.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში უკვე გათვალისწინებულ შემთხვევებთან ერთად, ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს საჭირო ზომები, რათა უზრუნველყოს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება იმ შემთხვევაში, როცა პირველ ნაწილში მოხსენიებული ფიზიკური პირის მიერ არასაკმარისმა ზედამხედველობამ ან კონტროლმა შესაძლებელი გახადა ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა იმ იურიდიული პირის სასარგებლოდ, რომლის უფლებამოსილებითაც მოქმედებდა ეს ფიზიკური პირი.

3. მონაწილე სახელმწიფოს სამართლებრივი პრინციპების გათვალისწინებით, იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს

სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო ან
ადმინისტრაციული.

4. ასეთი პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს
დანაშაულის ჩამდენი ფიზიკური პირის სისხლის
სამართლის პასუხისმგებლობას.

მუხლი 13. სასჯელები და ზომები

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია,
მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები,
რომლებიც უზრუნველყოფს ამ კონვენციის მე-2-11
მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ეფექტურ,
თანაზომიერ და სამაგალითო სასჯელს, მათ შორის
თავისუფლების აღკვეთასაც.

2. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია
უზრუნველყოს, რომ მე-12 მუხლით გათვალისწინებულ
დანაშაულზე პასუხისმგებელ ყველა იურიდიულ პირს
დაეკისრება ეფექტური, თანაზომიერი და სამაგალითო
სისხლის სამართლის სასჯელი ან სხვაგვარი
პასუხისმგებლობა, ფულადი სასჯელის ჩათვლით.

ნაწილი 2
საპროცესო სამართალი

კარი 1
ზოგადი დებულებანი

მუხლი 14. საპროცესო დებულებათა მოქმედება

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს სისხლის სამართლის კონკრეტული საქმის გამოძიების ან დევნის შესაბამისი უფლებამოსილებისა და პროცედურათა დანერგვას, ისე, როგორც ეს ამ ნაწილით არის გათვალისწინებული.

2. გარდა 21-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია გამოიყენოს ამ მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული უფლებამოსილება და პროცედურები შემდეგი მიზნებისათვის:

ა. ამ კონვენციის მე-2-11 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები;

ბ. კომპიუტერული სისტემის საშუალებით ჩადენილი სხვა დანაშაულები; და

გ. დანაშაულის მტკიცებულებათა ელექტრონული ფორმით შეგროვება.

3. ა. ყველა მონაწილე სახელმწიფო იტოვებს უფლებას, მე-20 მუხლით გათვალისწინებულ ზომებს მიმართოს მხოლოდ დათქმაში აღნიშნული დანაშაულების ან დანაშაულთა კატეგორიების შემთხვევაში, იმ პირობით, რომ ამგვარი დანაშაულების ან დანაშაულთა კატეგორიების წრე არ არის იმაზე უფრო შეზღუდული, ვიდრე დანაშაულთა ის წრე, რომელთა მიმართაც ის 21-ე მუხლში მოხსენიებულ ზომებს იყენებს. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, შეძლებისდაგვარად შეზღუდოს ამ დათქმის გამოყენება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მე-20 მუხლში

გათვალისწინებულ ზომათა მაქსიმალურად ფართოდ გამოყენება.

ბ. იმ შემთხვევაში, თუ ამ კონვენციის მიღების მომენტში, მონაწილე სახელმწიფოს, შიდასამართლებრივი შეზღუდვებიდან გამომდინარე, არ შეუძლია მიმართოს მე-20-21 მუხლებით გათვალისწინებულ ზომებს, რომელიც ეხება მონაცემთა გადაცემას ინტერნეტმომსახურების მიმწოდებლის იმ კომპიუტერული სისტემის მეშვეობით, რომელიც:

1. იმართება მომხმარებელთა დახურული ჯგუფის სასარგებლოდ, და

2. არ იყენებს საჯარო საკომუნიკაციო ქსელებს და არ არის შეერთებული სხვა, საჯარო თუ კერძო კომპიუტერულ სისტემასთან, ეს მონაწილე სახელმწიფო ინარჩუნებს უფლებას, მონაცემთა ასეთი გადაცემის მიმართ არ გამოიყენოს ეს ზომები. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, შეძლებისდაგვარად შეზღუდოს ამ დათქმის გამოყენება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მე-20 და 21-ე მუხლებში გათვალისწინებულ ზომათა მაქსიმალურად ფართოდ გამოყენება.

მუხლი 15. პირობები და გარანტიები

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ამ ნაწილში გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა და პროცედურათა შემოღება, შესრულება და გამოყენება დამოკიდებულია ამ ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლით გათვალისწინებულ პირობებსა და გარანტიებზე, რაც

თავის მხრივ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ადეკვატურ დაცვას, მათ შორის იმ უფლებებისა, რომელთა დაცვის ვალდებულებაც სახელმწიფომ იკისრა თანახმად 1950 წლის ევროპის საბჭოს კონვენციისა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, 1966 წლის გაერთიანებული ერების საერთაშორისო პაქტისა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, და ადამიანის უფლებათა სხვა შესაბამისი დოკუმენტებისა, და განახორციელებს პროპორციულობის პრინციპს.

2. ამგვარი პირობები და გარანტიები, შესაბამისი უფლებამოსილებისა და პროცედურის ტიპის შესაბამისად, *inter alia*, უნდა მოიცავდეს ამ უფლებამოსილების თუ პროცედურის სასამართლო ან სხვა დამოუკიდებელ ზედამხედველობას, მათი გამოყენების საფუძვლის არსებობის მტკიცებას, და მათი ფარგლებისა და ხანგრძლივობის შეზღუდვას.

3. საზოგადოებრივი ინტერესიდან, განსაკუთრებით კი მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელებიდან გამომდინარე, ყველა წევრი სახელმწიფო ვალდებულია, გაითვალისწინოს ამ ნაწილში მოყვანილ უფლებამოსილებათა და პროცედურათა გავლენა მესამე მხარის უფლებებზე, ვალდებულებებსა და კანონიერ ინტერესებზე.

კარი 2

შენახულ კომპიუტერულ მონაცემთა დაჩქარებული
დაცვა

მუხლი 16. შენახულ კომპიუტერულ მონაცემთა დაჩქარებული დაცვა

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც მისი ხელისუფლების უფლებამოსილ ორგანოებს მისცემს საშუალებას, გასცეს ბრძანება ან სხვა მსგავსი კანონიერი გზით უზრუნველყოს კომპიუტერული სისტემის საშუალებით შენახულ კონკრეტულ კომპიუტერულ მონაცემთა, მათ შორის ინტერნეტ-ტრაფიკის მონაცემთა დაჩქარებული დაცვა, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როცა არსებობს საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ამ კომპიუტერულ მონაცემებს ემუქრება დაკარგვის ან შეცვლის საფრთხე.

2. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე სახელმწიფო პირველ ნაწილში ხსენებულ ქმედებას ახორციელებს კონკრეტულ პირზე გაცემული ბრძანების საშუალებით, რათა მან მოახდინოს თავის მფლობელობაში ან საკუთარი ზედამხედველობის ქვეშ არსებული კონკრეტული შენახული კომპიუტერული მონაცემების დაცვა, სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს საჭირო საკანონმდებლო და სხვა ცვლილებები, რომლებიც ამ პირს დაავალდებულებს, დაიცვას და შეინარჩუნოს ამ კომპიუტერულ მონაცემთა მთლიანობა საჭირო დროის, მაქსიმუმ 90 დღის განმავლობაში, რათა ამით ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს მიეცეს მისი გადმოცემის საშუალება. სახელმწიფოს შეუძლია უზრუნველყოს ამგვარი ბრძანების შემდგომი განახლება.

3. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც კომპიუტერულ მონაცემთა მეურვეს ან მასზე პასუხისმგებელ სხვა პირს დაავალდებულებს, საიდუმლოდ შეინახოს ამ პროცედურათა განხორციელების ფაქტი ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული დროის მანძილზე.

4. ამ მუხლში განხილული უფლებამოსილებები და პროცედურები აგრეთვე ეხება მე-14-15 მუხლებს.

მუხლი 17. ინტერნეტ-ტრაფიკის მონაცემთა დაჩქარებული დაცვა და ნაწილობრივი გადმოცემა

1. მე-16 მუხლში განხილულ ინტერნეტ-ტრაფიკის მონაცემთა დაცვასთან მიმართებით, ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო სამართლებრივი და სხვა ზომები, რომლებიც:

ა. უზრუნველყოფს ინტერნეტ-ტრაფიკის მონაცემთა ამგვარ დაჩქარებულ დაცვას იმისდა მიუხედავად, ჩართული იყო თუ არა ამ კომუნიკაციათა გადაცემაში მომსახურების ერთი ან მეტი მომწოდებელი; და

ბ. უზრუნველყოფს სახელმწიფოს შესაბამისი ხელისუფლების ორგანოებისათვის ან ამ ორგანოების ნდობით აღჭურვილი პირისათვის ინტერნეტ-ტრაფიკის მონაცემთა დაჩქარებულ გადაცემას საკმარისი რაოდენობით, რათა სახელმწიფოს მიეცეს მომსახურების მომწოდებელთა ამოცნობის საშუალება ისევე, როგორც იმ გზისა, რომლითაც მოხდა აღნიშნულ კომუნიკაციათა გადაცემა.

2. ამ მუხლში განხილული უფლებამოსილებანი და პროცედურები აგრეთვე ეხება მე-14-15 მუხლებს.

კარი 3
ინფორმაციის გამოთხოვის ბრძანება

მუხლი 18. ინფორმაციის გამოთხოვის ბრძანება

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს მისცემს უფლებამოსილებას, გასცეს ბრძანება, რომლის თანახმადაც:

ა. მის ტერიტორიაზე მყოფი პირი ვალდებულია, გადასცეს კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული კონკრეტული კომპიუტერული მონაცემები ამ პირის მფლობელობაში ან მისი ზედამხედველობის ქვეშ; და

ბ. მომსახურების მომწოდებელი, რომელიც თავის მომსახურებას ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ახორციელებს, ვალდებულია გადასცეს მის ხელთ არსებული ინფორმაცია მომხმარებლის შესახებ, რომელიც ამგვარ მომსახურებასთანაა დაკავშირებული.

2. ამ მუხლში განხილული უფლებამოსილებანი და პროცედურები ექვემდებარება მე-14-15 მუხლებით დადგენილ პირობებს.

3. ამ მუხლის მიზნებისათვის, ტერმინი “ინფორმაცია მომხმარებლის შესახებ” არის ნებისმიერი ინფორმაცია,

რომელსაც მომსახურების მომწოდებელი ინახავს კომპიუტერული მონაცემების ან სხვა ნებისმიერი ფორმით, რომელიც დაკავშირებულია მისი მომსახურების მომხმარებლებთან; განსხვავდება ინტერნეტ-ტრაფიკისა და შინაარსობრივი მონაცემებისაგან და რომლის მიხედვითაც შესაძლებელია დადგინდეს:

ა. გამოყენებული კომუნიკაციის მომსახურების ტიპი, გამოყენებული ტექნიკური საშუალებები და მომსახურების დრო;

ბ. მომხმარებლის ვინაობა, საფოსტო ან საცხოვრებელი მისამართი, ტელეფონის და სხვა საკონტაქტო ნომრები, ინფორმაცია ანგარიშისა და გადასახადების შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომია მომსახურების ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე;

გ. დამონტაჟებული საკომუნიკაციო აღჭურვილობის ადგილობრივი მონაცემების თაობაზე არსებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მომსახურების ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე.

კარი 4

შენახულ კომპიუტერულ მონაცემთა ჩხრეკა და ამოღება

მუხლი 19. შენახულ კომპიუტერულ მონაცემთა ჩხრეკა და ამოღება

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შესაბამის ორგანოებს მისცემს უფლებამოსილებას, სახელმწიფოს ტერიტორიაზე გაჩხრიკოს (ან ჰქონდეს მსგავსი სახის მისაგვალი):

ა. კომპიუტერული სისტემა ან მისი ნაწილი და მასში შენახული კომპიუტერული მონაცემები; და

ბ. კომპიუტერულ მონაცემთა შესანახი საშუალება, რომელშიც შეიძლება ინახებოდეს კომპიუტერული მონაცემები.

2. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს აძლევს უფლებამოსილებას, მათ მიერ, 1(ა) პუნქტის შესაბამისად, კონკრეტული კომპიუტერული სისტემის ან მისი ნაწილის ჩხრეკის ან მსგავსი დაშვების დროს გაჩენილი ეჭვის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც საძიებელი მონაცემები შეიძლება ინახებოდეს სხვა კომპიუტერულ სისტემაში ან მის ნაწილში, რომელიც ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარეობს, და რომ ამგვარი მონაცემები კანონიერად ხელმისაწვდომია საწყისი სისტემის საშუალებით, განახორციელონ სხვა სისტემის დაჩქარებული განვრცობილი ჩხრეკა ან იქონიონ მსგავსი მისაწვდომობა.

3. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს აღჭურავს უფლებამოსილებით, ამოიღოს ან მსგავსი სახით უზრუნველყოს პირველი ან მე-2 პუნქტების თანახმად აღმოჩენილი კომპიუტერული მონაცემების

უსაფრთხოება. ეს ზომები მოიცავს შემდეგი უფლებამოსილებით აღჭურვას:

ა. კომპიუტერული სისტემის ან მისი ნაწილის ან კომპიუტერულ მონაცემთა შემნახავი საშუალების ამოღება ან მსგავსი სახით მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ბ. ამ კომპიუტერულ მონაცემთა ასლის გაკეთება და შენახვა;

გ. შესაბამის შენახულ კომპიუტერულ მონაცემთა ერთიანობის შენარჩუნება;

დ. ხელმიუწვდომელი გახადოს ან ამოიღოს ეს კომპიუტერული მონაცემები ხელმისაწვდომი კომპიუტერული სისტემიდან.

4. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც მის შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს აღჭურვავს უფლებამოსილებით, უბრძანოს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირების ან კომპიუტერულ მონაცემთა დაცვის მცოდნე ნებისმიერ პირს, რათა ამ უკანასკნელმა, გონივრულობის ფარგლებში გასცეს საჭირო ინფორმაცია, რომელიც უზრუნველყოფს პირველ და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ ზომათა განხორციელებას.

5. ამ მუხლში განხილული უფლებამოსილებანი და პროცედურები ექვემდებარება მე-14-15 მუხლების პირობებს.

კარი 5

კომპიუტერულ მონაცემთა მიმდინარე შეგროვება

მუხლი 20. ინტერნეტ-ტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვება

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც მის შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს აღჭურავს უფლებამოსილებით:

ა. ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით შეაგროვონ ან ჩაიწერონ, და

ბ. დაავალდებულონ მომსახურების მომწოდებელი მისი ტექნიკური შესაძლებლობების ფარგლებში:

1. ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით შეაგროვოს ან ჩაიწეროს; ან

2. ითანამშრომლოს და დაეხმაროს შესაბამის ორგანოებს, რათა შეაგროვონ ან ჩაიწერონ მიმდინარე რეჟიმში ინტერნეტ-ტრაფიკის ის მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია მის ტერიტორიაზე განხორციელებულ და კომპიუტერული სისტემის მეშვეობით გადაცემულ კონკრეტულ კომუნიკაციებთან.

2. იმ შემთხვევაში, თუ შიდასამართლებრივი სისტემით დამკვიდრებული პრინციპების გამო მონაწილე სახელმწიფოს არ შეუძლია 1(ა) ნაწილით გათვალისწინებულ ზომათა მიღება, მას შეუძლია მიიღოს სამართლებრივი და სხვა საჭირო ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს ინტერნეტ-ტრაფიკის იმ მონაცემთა მიმდინარე შეგროვებას ან ჩაწერას, რომლებიც დაკავშირებულია მის ტერიტორიაზე არსებულ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით ამავე ტერიტორიაზე განხორციელებულ კონკრეტულ საკომუნიკაციო გადაცემებთან.

3. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა საჭირო ზომები, რომლებიც დაავალდებულებს მომსახურების მომწოდებელს, უზრუნველყოს ამ მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლებამოსილების განხორციელების ფაქტისა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

4. ამ მუხლში განხილული უფლებამოსილებანი და პროცედურები ექვემდებარება მე-14-15 მუხლების პირობებს.

მუხლი 21. შინაარსობრივ მონაცემთა ხელში ჩაგდება

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა საჭირო ზომები, რომლებიც, ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრულ რიგ სერიოზულ დანაშაულებთან დაკავშირებით, შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს აღჭურვავს უფლებამოსილებით:

ა. ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით შეაგროვოს ან ჩაიწეროს, და

ბ. დაავალდებულონ მომსახურების მომწოდებელი მისი ტექნიკური შესაძლებლობების ფარგლებში:

1. ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით შეაგროვოს ან ჩაიწეროს, ან

2. ითანამშრომლოს და დაეხმაროს შესაბამის ორგანოებს, რათა შეაგროვონ ან ჩაიწერონ მის ტერიტორიაზე განხორციელებული და კომპიუტერული სისტემის მეშვეობით გადაცემულ კონკრეტულ

კომუნიკაციათა შინაარსობრივი მონაცემები მიმდინარე რეჟიმში.

2. იმ შემთხვევაში, თუ შიდასამართლებრივი სისტემით დამკვიდრებული პრინციპების გამო მონაწილე სახელმწიფოს არ შეუძლია 1(ა) ნაწილით გათვალისწინებული ზომების მიღება, მას შეუძლია მიიღოს სამართლებრივი და სხვა საჭირო ზომები, რათა უზრუნველყოს მის ტერიტორიაზე არსებულ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით ამავე ტერიტორიაზე განხორციელებულ კონკრეტულ საკომუნიკაციო გადაცემათა შინაარსობრივი მონაცემების მიმდინარე შეგროვება ან ჩაწერა.

3. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა საჭირო ზომები, რომლებიც დაავალდებულებს მომსახურების მომწოდებელს, უზრუნველყოს ამ მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლებამოსილების განხორციელების ფაქტისა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

4. ამ მუხლში განხილული უფლებამოსილებანი და პროცედურები ექვემდებარება მე-14-15 მუხლების პირობებს.

ნაწილი 3 იურისდიქცია

მუხლი 22. იურისდიქცია

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვადებულია, მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა საჭირო ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს იურისდიქციას ამ კონვენციის მე-2-11 მუხლებით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაულისათვის, როდესაც ეს დანაშაული ჩადენილია:

ა. ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე; ან

ბ. ამ სახელმწიფოს დროშის ქვეშ მცურავ ხომალდზე;
ან

გ. ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით რეგისტრირებულ თვითმფრინავზე; ან

დ. მისი ერთ-ერთი მოქალაქის მიერ, თუ დანაშაული დასჯადია იმ ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც იქნა ჩადენილი დანაშაული ან თუ დანაშაული ჩადენილია ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული იურისდიქციის ფარგლებს გარეთ.

2. ყველა მონაწილე სახელმწიფოს აქვს უფლება, დათქვას ამ მუხლის 1(ბ-დ) ქვეპუნქტებით განსაზღვრული იურისდიქციის წესების ან მათი ნებისმიერი ნაწილის გამოუყენებლობაზე; ან გამოიყენოს ისინი მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებში ან პირობებში.

3. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა გააჩნდეს იურისდიქცია ამ კონვენციის 24-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩამოყალიბებულ დანაშაულებზე იმ შემთხვევებში, როცა სავარაუდო დამნაშავე იმყოფება მის ტერიტორიაზე და ექსტრადიციის მოთხოვნის შემდეგ სახელმწიფო უარს აცხადებს სავარაუდო დამნაშავეს

ექსტრადიციაზე სხვა ქვეყნისათვის მხოლოდ მისი ეროვნების საფუძველზე.

4. ეს კონვენცია არ გამორიცხავს მონაწილე სახელმწიფოს მიერ მისი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებული ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის გამოყენებას.

5. როდესაც ერთზე მეტი მონაწილე სახელმწიფო აცხადებს, რომ გააჩნია იურისდიქცია ამ კონვენციის შესაბამისად განსაზღვრულ სავარაუდო დანაშაულზე, ეს სახელმწიფოები ვალდებული არიან, შეძლებისდაგვარად ჩაატარონ კონსულტაციები, რათა განსაზღვრონ დევნისათვის ყველაზე მეტად შესაფერისი იურისდიქცია.

თავი III

საერთაშორისო თანამშრომლობა

ნაწილი 2

ზოგადი პრინციპები

კარი 1

საერთაშორისო თანამშრომლობასთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპები

მუხლი 23. საერთაშორისო თანამშრომლობასთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპები

ამ თავის დებულებათა შესაბამისად, აგრეთვე სისხლის სამართლის საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობის, უნიფორმული ან ორმხრივი კანონმდებლობისა და ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე შეთანხმებულ საერთაშორისო დოკუმენტებზე დაყრდნობით, კომპიუტერულ სისტემებსა და მონაცემებთან დაკავშირებულ დანაშაულთა გამოძიებისა და დევნის, ან დანაშაულის მტკიცებულებათა ელექტრონული ფორმით შეგროვების მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, რაც შეიძლება ფართოდ ითანამშრომლონ ერთმანეთთან.

კარი 2

ექსტრადიციასთან დაკავშირებული პრინციპები

მუხლი 24. ექსტრადიცია

1. ა. ეს მუხლი ეხება მონაწილე სახელმწიფოებს შორის ექსტრადიციას ამ კონვენციის მე-2-11 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის, იმ პირობით, რომ ეს დანაშაულები დასჯადია ორივე სახელმწიფოს კანონმდებლობით და ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას მინიმუმ 1 წლით, ან უფრო მკაცრ სასჯელს.

ბ. თუ ორ ან მეტ წევრ სახელმწიფოებს შორის არსებული უნიფორმული ან ორმხრივი კანონმდებლობის, ან ექსტრადიციის შესახებ ხელშეკრულების, მათ შორის ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის (ETS № 24) საფუძველზე

არსებული შეთანხმებით შესაძლებელია განსხვავებული მინიმალური სასჯელის შეფარდება, გამოიყენება ასეთი შეთანხმებით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელი.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღწერილი დანაშაულები ექსტრადიციის შესახებ მონაწილე სახელმწიფოებს შორის არსებულ ნებისმიერ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს, როგორც დანაშაულები, რომლებიც ექვემდებარება ექსტრადიციას. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, ექსტრადიციის შესახებ მათ შორის დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებაში ასახონ ასეთი დანაშაულები, როგორც ექსტრადიციას დაქვემდებარებულები.

3. თუ მონაწილე სახელმწიფო, რომელიც მიიღებს მოთხოვნას ექსტრადიციის შესახებ სხვა სახელმწიფოსაგან, რომელთანაც მას არ აკავშირებს ხელშეკრულება ექსტრადიციის შესახებ, ექსტრადიციის პირობად ასახელებს შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის აუცილებლობას, ამ სახელმწიფოს შეუძლია განიხილოს ეს კონვენცია, როგორც ექსტრადიციის სამართლებრივი საფუძველი ამ მუხლის პირველ ნაწილში მოხსენიებული ნებისმიერი დანაშაულისათვის.

4. ის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც ექსტრადიციის პირობად არ ასახელებენ ექსტრადიციის შესახებ ხელშეკრულების არსებობას, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულებს განიხილავენ დანაშაულებად, რომლებიც ექვემდებარება ექსტრადიციას.

5. ექსტრადიცია დამოკიდებული უნდა იყოს მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფოს სამართლით ან ექსტრადიციის შესახებ შესაფერისი ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ პირობებზე, მათ შორის იმ საფუძვლებზეც, რომლის გამოც მოთხოვნის მიმღებმა წევრმა სახელმწიფომ შეიძლება უარი განაცხადოს ექსტრადიციაზე.

6. თუ სახელმწიფო უარს აცხადებს ამ მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულებისათვის ექსტრადიციაზე მხოლოდ ძიებაში არსებული პირის ეროვნების საფუძველზე, ან იმის გამო, რომ სახელმწიფოს, რომელსაც წაყენებული აქვს ექსტრადიციის მოთხოვნა, მიაჩნია, რომ მისი იურისდიქცია ვრცელდება ამ დანაშაულზე, ასეთ შემთხვევაში მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო ვალდებულია, მომთხოვნი სახელმწიფოს მოთხოვნის საფუძველზე, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზნით ეს საქმე მისი ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს გადასცეს და საბოლოო შედეგი სათანადოდ აცნობოს მომთხოვნ სახელმწიფოს. ეს შესაბამისი ორგანოები მიიღებენ თავიანთ გადაწყვეტილებას და აწარმოებენ თავიანთ გამოძიებასა და დევნას იგივე ხარისხით, რა ხარისხითაც აწარმოებდნენ ამას მსგავსი სახის ნებისმიერი სხვა დანაშაულის შემთხვევაში ამ წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით.

7. ა. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან შეერთების შესახებ დოკუმენტის ხელმოწერის დროს ან დეკონირებისას აცნობოს ევროპის საბჭოს გენერალურ

მდივანს ყველა იმ ორგანოს სახელი და იურიდიული მისამართი, რომლებიც, ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში, პასუხისმგებელი იქნებიან ექსტრადიციის ან დაკავების შესახებ მოთხოვნის წაყენებასა ან მიღებაზე.

ბ. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ვალდებულია, ჩამოაყალიბოს და მუდმივად განაახლოს მონაწილე სახელმწიფოების მიერ მითითებულ სახელისუფლებო ორგანოთა უწყისი. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მუდმივად უზრუნველყოს უწყისში არსებული დეტალების სისწორე.

კარი 3

ორმხრივ დახმარებასთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპები

მუხლი 25. ორმხრივ დახმარებასთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპები

1. კომპიუტერულ სისტემებსა და მონაცემებთან დაკავშირებულ დანაშაულთა გამოძიებისა და დევნის, ან დანაშაულის მტკიცებულებათა ელექტრონული ფორმით შეგროვების მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, რაც შეიძლება ფართოდ გაუწიონ ერთმანეთს ურთიერთდახმარება.

2. ყველა მონაწილე სახელმწიფო ასევე ვალდებულია, მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა საჭირო ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს 27-35-ე მუხლებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა განხორციელებას.

3. ყველა მონაწილე სახელმწიფო უფლებამოსილია, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, მოითხოვოს ორმხრივი დახმარება ან განახორციელოს ამასთან დაკავშირებული რიგი სწრაფი კომუნიკაციებისა, მათ შორის ფაქსის ან ელ.ფოსტის საშუალებით იმდენად, რამდენადაც ამგვარი საშუალებები უზრუნველყოფს უსაფრთხოებისა და ავთენტურობის შესაბამის დონეს (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, შიფრის გამოყენებით). ასეთ კომუნიკაციებს შეიძლება მოჰყვეს ფორმალური დადასტურების მოთხოვნა მოთხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოს მხრიდან. მონაწილე სახელმწიფო, რომელსაც მიმართავენ თხოვნით, ვალდებულია, მიიღოს ეს მოთხოვნა და უპასუხოს მას კომუნიკაციის ნებისმიერი ანალოგიურად დაჩქარებული საშუალებით.

4. ამ თავის მუხლებით გათვალისწინებული განსაკუთრებული გამონაკლისების გარდა, ორმხრივი დახმარება დამოკიდებული უნდა იყოს მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფოს სამართალით ან თანამშრომლობის ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ პირობებზე, მათ შორის იმ საფუძვლებზეც, რომლის გამოც მოთხოვნის მიმღებმა წევრმა სახელმწიფომ შეიძლება უარი განაცხადოს თანამშრომლობაზე. მოთხოვნის მიმღებ წევრ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, უარი განაცხადოს თანამშრომლობაზე მე-2-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ მოთხოვნა ითვალისწინებს დანაშაულს, რომელსაც მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო თვლის ფინანსურ დანაშაულად.

5. ამ თავის დებულებათა შესაბამისად, თუ მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფო ორმხრივი დახმარების პირობად მოითხოვს ორმაგი დამნაშავეობის არსებობას, უნდა ჩაითვალოს, რომ ორმაგი დამნაშავეობა სახეზეა, თუ ის ქმედება, რომლისთვისაც სახელმწიფო ითხოვს ურთიერთდახმარებას, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობით აგრეთვე დანაშაულად ითვლება. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, ეს დანაშაული ამ სახელმწიფოთა კანონმდებლობებით ერთსა და იმავე კატეგორიაში ხვდება თუ ერთსა და იმავე ტერმინით განიმარტება, თუ მოთხოვნაში მოხსენებული დანაშაულის შემადგენელი ქმედება იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მისი კანონმდებლობით.

მუხლი 26. სპონტანური ინფორმაცია

1. ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, წევრ სახელმწიფოს შეუძლია, სხვა სახელმწიფოს, მისი წინასწარი მოთხოვნის გარეშე, გადაუგზავნოს საკუთარი გამოძიების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაცია, თუ იგი ჩათვლის, რომ ამგვარი ინფორმაციის გაზიარებით შეიძლება დაეხმაროს ინფორმაციის მიმღებ სახელმწიფოს იმ გამოძიებათა ან დევნათა დაწყებაში ან განხორციელებაში, რომლებიც ეხება ამ კონვენციის თანახმად განსაზღვრული სისხლის სამართლის დანაშაულებს, ან რომ ინფორმაციის გაზიარება შეიძლება გახდეს ამ წევრი სახელმწიფოს მიერ ორმხრივი დახმარების თაობაზე მოთხოვნის

წარმოდგენის საფუძველი, როგორც ეს განსაზღვრულია ამ თავით.

2. ამგვარი ინფორმაციის მიწოდებამდე, მიმწოდებელმა წევრმა სახელმწიფომ შეიძლება ითხოვოს, რომ ეს ინფორმაცია იყოს გასაიდუმლოებული ან გამოყენებული მხოლოდ გარკვეული პირობებით. თუ ინფორმაციის მიმღებ წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება, იგი ვალდებულია, აცნობოს ამის თაობაზე მიმწოდებელ სახელმწიფოს, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი გადაწყვეტს, მიაწოდოს ეს ინფორმაცია ყველაფრის და მიუხედავად თუ არა. თუ ინფორმაციის მიმღები წევრი სახელმწიფო მიიღებს ინფორმაციას მიმწოდებელი სახელმწიფოს პირობების სანაცვლოდ, იგი ვალდებული იქნება შეასრულოს ისინი.

კარი 4

გამოყენებად საერთაშორისო ხელშეკრულებათა არარსებობის შემთხვევაში ორმხრივი დახმარების მოთხოვნებთან დაკავშირებული პროცედურები

მუხლი 27. გამოყენებად საერთაშორისო ხელშეკრულებათა არარსებობის შემთხვევაში ორმხრივი დახმარების მოთხოვნებთან დაკავშირებული პროცედურები

1. თუ არ არსებობს უნიფორმულ ან ორმხრივ კანონმდებლობაზე დაფუძნებული, ძალაში შესული თანამშრომლობის ხელშეკრულება ან შეთანხმება მომთხოვნ და მოთხოვნის მიმღებ წევრ სახელმწიფოებს

შორის, უნდა იქნეს გამოყენებული ამ მუხლის მე-2-9 პუნქტების დებულებები. ამ მუხლის დებულებანი არ გამოიყენება, თუ ასეთი ხელშეკრულება, შეთანხმება ან კანონმდებლობა არსებობს, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მონაწილე სახელმწიფოები თანახმა არიან მათ ნაცვლად გამოიყენონ ამ მუხლის ნებისმიერი ან ყველა დანარჩენი ნაწილი.

2. ა. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, დანიშნოს ხელისუფლების ცენტრალური ორგანო ან ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან ორმხრივი დახმარების თაობაზე მოთხოვნათა გაგზავნასა და პასუხზე, ამგვარ მოთხოვნათა განხორციელებაზე ან მათ გადაცემაზე იმ სახელმწიფო ორგანოებისათვის, რომლებიც პასუხმგებელი არიან მათ განხორციელებაზე.

ბ. მონაწილე სახელმწიფოთა ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები ვალდებული არიან, უშუალო კავშირი იქონიონ ერთმანეთთან;

გ. წევრი სახელმწიფო ვალდებულია, რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან შეერთების შესახებ დოკუმენტის ხელმოწერის დროს ან დეკლარაციებისას, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს აცნობოს ყველა იმ ორგანოს სახელი და იურიდიული მისამართი, რომელიც დანიშნულია ამ ნაწილის სისრულეში მოყვანის მიზნით;

დ. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ვალდებულია, ჩამოაყალიბოს და მუდმივად განაახლოს მონაწილე სახელმწიფოების მიერ მითითებულ ცენტრალურ სახელისუფლებო ორგანოთა უწყისი. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მუდმივად

უზრუნველყოს ამ უწყისში არსებული დეტალების სისწორე.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები ორმხრივ დახმარებაზე შესრულებულ უნდა იქნეს მომთხოვნი წევრი სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული პროცედურების თანახმად. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როცა ეს მოთხოვნა შეუთავსებელია მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს სამართალთან.

4. გარდა 25-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული მიზეზებისა, მოთხოვნის მიმღებმა წევრმა სახელმწიფომ შეიძლება უარი განაცხადოს დახმარებაზე თუ:

ა. მოთხოვნა ეხება დანაშაულს, რომელსაც მომთხოვნი წევრი სახელმწიფო მიიჩნევს პოლიტიკურ დანაშაულად ან თუ დანაშაული დაკავშირებულია პოლიტიკურ დანაშაულთან, ან

ბ. მას მიაჩნია, რომ მოთხოვნის შესრულება სავარაუდოდ ზიანს მიაყენებს მის სუვერენიტეტს, უსაფრთხოებას, საჯარო წესრიგს ან სხვა არსებით ინტერესებს.

5. მოთხოვნის მიმღებ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, გადადოს მოთხოვნის შესრულება, თუკი მას შეუძლია ზიანი მიაყენოს მისი სახელისუფლებო ორგანოების მიერ განხორციელებულ სისხლის სამართლის გამოძიებას ან დევნას.

6. დახმარებაზე უარის თქმის ან გადადებამდე, მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფო ვალდებულია, მომთხოვნ წევრ სახელმწიფოსთან მოლაპარაკების შემდეგ, განსაზღვროს, შესაძლებელია თუ არა მოთხოვნის თუნდაც ნაწილობრივი დაკმაყოფილება ან შეიძლება მოთხოვნის სანაცვლოდ წაყენებულ იქნეს

პირობები, რომლებსაც მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფო აუცილებლად მიიჩნევს.

7. მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფო ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს მომთხოვნ წევრ სახელმწიფოს მის მიერ დახმარების თაობაზე განხორციელებული მოთხოვნის შედეგები. მოთხოვნაზე უარის თქმის ან მისი გადადების შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია, ახსნას ამის მიზეზი. მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფო აგრეთვე ვალდებულია, აცნობოს მომთხოვნ წევრ სახელმწიფოს იმ ნებისმიერი მიზეზის თაობაზე, რომლის გამოც შეუძლებელია მოთხოვნის შესრულება ან რომელიც, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად დააყოვნებს მის შესრულებას.

8. მომთხოვნ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, მოითხოვოს მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფოსაგან, საიდუმლოდ შეინახოს ამ თავით გათვალისწინებული ნებისმიერი მოთხოვნის ფაქტი ისევე, როგორც მისი შინაარსი, თუ ეს არ სცდება ამ მოთხოვნის განხორციელებისათვის აუცილებელ ფარგლებს. თუ მოთხოვნის მიმღებ წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია კონფიდენციალურობის შესახებ მოთხოვნის შესრულება, იგი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს ეს მომთხოვნ წევრ სახელმწიფოს, რომელიც შემდგომში გადაწყვეტს, წარადგინოს თუ არა მოთხოვნა ამისდა მიუხედავად.

9. ა. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, ორმხრივი დახმარების თაობაზე მოთხოვნები ან მასთან დაკავშირებული კომუნიკაციები შეიძლება განხორციელებულ იქნეს მომთხოვნი წევრი

სახელმწიფოს სასამართლო ორგანოების მიერ უშუალოდ მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოებისადმი. ნებისმიერ ასეთ შემთხვევაში, მომთხოვნი წევრი სახელმწიფოს ცენტრალური სახელისუფლებო ორგანოს მიერ მოთხოვნის ასლი უნდა გაეგზავნოს მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფოს ცენტრალურ სახელისუფლებო ორგანოს.

ბ. ამ ნაწილით გათვალისწინებული ნებისმიერი მოთხოვნა ან შეტყობინება შეიძლება განხორციელებულ იქნეს კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ინტერპოლის) საშუალებით.

გ. თუ მოთხოვნა გაკეთებულია ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად და თუ სახელისუფლებო ორგანოს არ შეუძლია თავი გაართვას მას, იგი ვალდებულია, გადაუგზავნოს ეს მოთხოვნა შესაბამის ეროვნულ ორგანოს და პირდაპირ შეატყობინოს მომთხოვნ წევრ სახელმწიფოს ამის თაობაზე.

დ. ამ ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნები ან კომუნიკაციები, რომლებიც არ მოითხოვს იძულებით ღონისძიებათა გამოყენებას, მომთხოვნი წევრი სახელმწიფოს შესაბამისი სახელისუფლებო ორგანოების მიერ შეიძლება გადაეცეს უშუალოდ მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფოს შესაბამის სახელისუფლებო ორგანოებს.

ე. ყველა წევრი სახელმწიფო ვალდებულია, რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან შეერთების შესახებ დოკუმენტის ხელმოწერის დროს ან დეკონირებისას, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს აცნობოს, რომ ეფექტურობის მიზნით, ამ ნაწილის თანახმად წარმოდგენილი მოთხოვნები მიმართული

უნდა იყოს მისი ცენტრალური სახელისუფლებო ორგანოსადმი.

მუხლი 28. კონფიდენციალურობა და სარგებლობის შეზღუდვა

1. თუ მომთხოვნ და მოთხოვნის მიმღებ წევრ სახელმწიფოებს შორის უნიფორმული ან ორმხრივი კანონმდებლობის საფუძველზე არსებული ხელშეკრულება ან შეთანხმება ურთიერთდახმარებაზე არაა ძალაში შესული, გამოიყენება ამ მუხლის დებულებანი. ამ მუხლის დებულებანი არ გამოიყენება, როცა ასეთი ხელშეკრულება, შეთანხმება ან კანონმდებლობა არსებობს, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მონაწილე სახელმწიფოები თანახმა არიან მათ ნაცვლად გამოიყენონ ამ მუხლის ნებისმიერი ან ყველა დანარჩენი ნაწილი.

2. მოთხოვნაწაყენებულ წევრ სახელმწიფოს უფლება აქვს მიწოდებული ინფორმაციის ან მასალის პირობად მოითხოვოს რომ:

ა. საიდუმლოდ შეინახოს ეს ინფორმაცია და მასალა, როცა ორმხრივი სამართლებრივი დახმარების თაობაზე მოთხოვნის შესრულება სხვაგვარად შეუძლებელია, ან

ბ. ეს ინფორმაცია და მასალა არ იქნება გამოყენებული გამოძიებისა და დევნის იმ მიზნებისათვის, რომლებიც მოთხოვნის ფარგლებს სცდება.

3. თუ მომთხოვნი წევრი სახელმწიფო ვერ ასრულებს მე-2 ნაწილში გათვალისწინებულ პირობას, იგი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე წევრ

სახელმწიფოს, რომელიც შემდგომში გადაწყვეტს, მიაწოდოს თუ არა ინფორმაცია ამისდა მიუხედავად. თუ მომთხოვნი წევრი სახელმწიფო დათანხმდება ამ პირობას, იგი ვალდებული იქნება შეასრულოს ის.

4. ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს, რომელიც გადასცემს ინფორმაციას ან მასალას მე-2 ნაწილში გათვალისწინებული პირობით, უფლება აქვს მოითხოვოს სხვა წევრი სახელმწიფოსგან, ამ პირობასთან დაკავშირებით, განმარტოს ამგვარი ინფორმაციის ან მასალის გამოყენების მიზანი.

ნაწილი 2 განსაკუთრებული დებულებანი

კარი 1 დროებით ზომებთან დაკავშირებული ორმხრივი დახმარება

მუხლი 29. შენახულ კომპიუტერულ მონაცემთა დაჩქარებული დაცვა

1. წევრმა სახელმწიფომ შეიძლება მოსთხოვოს სხვა წევრ სახელმწიფოს, გასცეს ბრძანება ან სხვაგვარად უზრუნველყოს იმ კომპიუტერული სისტემის საშუალებით შენახულ მონაცემთა დაჩქარებული დაცვა, რომელიც მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარეობს და რომელთან დაკავშირებითაც მომთხოვნი წევრი სახელმწიფო

აპირებს, ორმხრივი დახმარების მოთხოვნის საფუძველზე მოიძიოს ან ჰქონდეს მსგავსი სახის მისავალი; ამოიღოს ან სხვაგვარად მოიპოვოს ან გამოითხოვოს კომპიუტერული მონაცემები.

2. პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა დაცვის შესახებ უნდა მოიცავდეს შემდეგს:

ა. სახელისუფლებო ორგანოს დასახელებას, რომელიც მოითხოვს მონაცემთა შენახვას;

ბ. დანაშაულს, რომელიც წარმოადგენს სისხლის სამართლის გამოძიების ან დევნის საფუძველს, და მასთან დაკავშირებული ფაქტების ზოგად შინაარსს;

გ. შენახულ კომპიუტერულ მონაცემებს, რომლებიც უნდა იქნეს დაცული, და მის კავშირს დანაშაულთან;

დ. ნებისმიერ ხელმისაწვდომ ინფორმაციას, რომელიც დაადგენს შენახული კომპიუტერული მონაცემების მფლობელს ან კომპიუტერული სისტემის ადგილმდებარეობას.

ე. შენახვის აუცილებლობას; და

ვ. წევრი სახელმწიფოს განზრახვას, მოითხოვოს დახმარება, რათა მოიძიოს ან ჰქონდეს მსგავსი სახის მისავალი; ამოიღოს ან სხვაგვარად მოიპოვოს ან გამოითხოვოს კომპიუტერული მონაცემები.

3. სხვა წევრი სახელმწიფოსაგან მოთხოვნის მიღებისთანავე, მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ყველა სათანადო ზომა, რათა დაჩქარებულად დაიცვას აღნიშნული მონაცემები მისი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ამ მოთხოვნის საპასუხოდ და ამგვარი დაცვის უზრუნველყოფის პირობად არ უნდა იქნეს მოთხოვნილი ორმაგი დამნაშავეობა.

4. თუ წევრი სახელმწიფო ასახელებს ორმაგ დამნაშავეობას შენახულ მონაცემთა მოძიების ან მსგავსი სახის მისაგალის, ამოღების ან სხვაგვარად მოპოვების, ან მისი გამოთხოვის მოთხოვნის პირობად, და თუ მას მიაჩნია, რომ ინფორმაციის გადაცემის დროს ორმაგი დამნაშავეობის პირობა ვერ იქნება დაკმაყოფილებული, ამ სახელმწიფოს აქვს უფლება, იმ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომლებიც განსხვავდება ამ კონვენციის მე-2-11 მუხლებით განსაზღვრული დანაშაულებისაგან, უარი თქვას დაცვის მოთხოვნაზე.

5. გარდა ამისა, მოთხოვნა დაცვის თაობაზე შეიძლება უარყოფილ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

ა. მოთხოვნა ეხება დანაშაულს, რომელსაც მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფო მიიჩნევს პოლიტიკურ დანაშაულად ან პოლიტიკურ დანაშაულთან დაკავშირებულ დანაშაულად, ან

ბ. მოთხოვნის მიმღებ წევრ სახელმწიფოს მიაჩნია, რომ მოთხოვნის შესრულება სავარაუდოდ ზიანს მიაყენებს მის სუვერენიტეტს, უსაფრთხოებას, საჯარო წესრიგს ან სხვა არსებით ინტერესებს.

6. თუ მოთხოვნის მიმღებ წევრ სახელმწიფოს სჯერა, რომ შენახვის პროცედურები არ უზრუნველყოფს მონაცემთა შემდგომ ხელმისაწვდომობას ან საფრთხეს შეუქმნის მომთხოვნი წევრი სახელმწიფოს გამომძიების კონფიდენციალურობას ან სხვაგვარად ზიანს მიაყენებს მას, იგი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს მომთხოვნ წევრ სახელმწიფოს ამის თაობაზე, რომელიც შემდგომ გადაწყვეტს, უნდა განხორციელდეს თუ არა მოთხოვნა ამისდა მიუხედავად.

7. პირველი ნაწილით განსაზღვრული მოთხოვნის პასუხად განხორციელებული მონაცემთა ნებისმიერი დაცვა უნდა გაგრძელდეს არანაკლებ სამოცი დღის განმავლობაში, რათა მომთხოვნ წევრ სახელმწიფოს მიეცეს მონაცემთა მოძიების ან მსგავსი სახის მისაგალის, ამოღების ან სხვაგვარად მოპოვების, ან მისი გამოთხოვის თაობაზე მოთხოვნის გაკეთების საშუალება. ამგვარი მოთხოვნის მიღების შემდეგ მონაცემთა შენახვა უნდა გაგრძელდეს ამ მოთხოვნასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების დრომდე.

მუხლი 30. ინტერნეტ-ტრაფიკის დაცულ მონაცემთა დაჩქარებული გადაცემა

1. თუ, 29-ე მუხლით გაკეთებული მოთხოვნის განხორციელების დროს, რომელიც ეხება კონკრეტულ კომუნიკაციასთან დაკავშირებული ინტერნეტ-ტრაფიკის მონაცემთა დაცვას, მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფო აღმოაჩენს, რომ მომსახურების მიმწოდებელი სხვა სახელმწიფოში მონაწილეობას ღებულობდა ამ კომუნიკაციის გადაცემაში, მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფო ვალდებულია, მომთხოვნ წევრ სახელმწიფოს სასწრაფოდ გადასცეს ინტერნეტ-ტრაფიკის მონაცემთა საკმარისი რაოდენობა, რათა საშუალება მისცეს მას, ამოიკნოს მომსახურების ეს მიმწოდებელი და ის გზა, რომლის საშუალებითაც გადაცემულ იქნა კომუნიკაცია.

2. წევრმა სახელმწიფომ პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინტერნეტ-ტრაფიკის მონაცემების

გადაცემაზე შეიძლება უარი თქვას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

ა. მოთხოვნა ეხება დანაშაულს, რომელსაც მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფო მიიჩნევს პოლიტიკურ დანაშაულად ან პოლიტიკურ დანაშაულთან დაკავშირებულ დანაშაულად; ან

ბ. მოთხოვნის მიმღებ წევრ სახელმწიფოს მიაჩნია, რომ მოთხოვნის შესრულება სავარაუდოდ ზიანს მიაყენებს მის სუვერენიტეტს, უსაფრთხოებას, საჯარო წესრიგს ან სხვა არსებით ინტერესებს.

კარი 2

საგამოძიებო უფლებამოსილებასთან დაკავშირებული
ორმხრივი დახმარება

მუხლი 31. შენახულ კომპიუტერულ მონაცემთა ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ორმხრივი დახმარება

1. წევრ სახელმწიფოს უფლება აქვს, მოსთხოვოს სხვა წევრ სახელმწიფოს, მოიძიოს ან ჰქონდეს მსგავსი სახის მისავალი; ამოიღოს ან სხვაგვარად მოიპოვოს; ან გამოითხოვოს მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარე კომპიუტერული სისტემის საშუალებით შენახული კომპიუტერული მონაცემები, მათ შორის ის მონაცემებიც, რომლებიც ინახებოდა 29-ე მუხლის შესაბამისად.

2. მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფო ვალდებულია, ამ მოთხოვნას უპასუხოს 23-ე მუხლში მოხსენიებული საერთაშორისო დოკუმენტების,

შეთანხმებისა და კანონმდებლობის გამოყენებით, და ამ თავის სხვა შესაბამის დებულებათა შესაბამისად.

3. მოთხოვნაზე დაჩქარებული პასუხი უნდა იქნეს გაცემული იმ შემთხვევაში, თუ:

ა. არსებობს ეჭვის საფუძველი, რომ შესაბამისი მონაცემები შეიძლება დაიკარგოს ან შეიცვალოს; ან

ბ. დაჩქარებულ თანამშრომლობას ითვალისწინებს მე-2 ნაწილში მოხსენიებული დოკუმენტები, შეთანხმებები და კანონმდებლობები.

**მუხლი 32. შენახულ კომპიუტერულ მონაცემთა
სახელმწიფოთაშორისი ხელმისაწვდომობა
ნებართვის არსებობის ან საჯაროდ
ხელმისაწვდომობის შემთხვევაში**

წევრ სახელმწიფოს უფლება აქვს, სხვა წევრი სახელმწიფოს ნებართვის გარეშე:

ა. ჰქონდეს მისავალი საჯაროდ ხელმისაწვდომ (ღია კოდის მქონე) შენახულ კომპიუტერულ მონაცემებზე იმისდა მიუხედავად, თუ სად მდებარეობს ეს მონაცემები გეოგრაფიულად; ან

ბ. მის ტერიტორიაზე არსებული კომპიუტერული სისტემის საშუალებით ჰქონდეს მისავალი ან მიიღოს შენახული კომპიუტერული მონაცემები, თუ ეს წევრი სახელმწიფო მიიღებს კანონიერ და ნებაყოფლობით თანხმობას იმ პირისაგან, რომელსაც აქვს კანონიერი უფლებამოსილება, გადასცეს კომპიუტერული მონაცემები ამ წევრ სახელმწიფოს ამ კომპიუტერული სისტემის მეშვეობით.

**მუხლი 33. ინტერნეტ-ტრაფიკის მონაცემთა
მიმდინარე შეგროვებასთან დაკავშირებული
ურთიერთდახმარება**

1. წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, დაეხმარონ ერთმანეთს ინტერნეტ-ტრაფიკის იმ მონაცემთა მიმდინარე შეგროვებაში, რომელიც დაკავშირებულია მათ ტეროტორიაზე კომპიუტერული სისტემის საშუალებით განხორციელებულ კონკრეტულ კომუნიკაციებთან. მე-2 ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით, ამ თანამშრომლობის რეგულირება უნდა ხდებოდეს ეროვნული კანონმდებლობის პირობებისა და პროცედურების თანახმად.

2. ყველა წევრი სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს ამგვარი დახმარება როგორც მინიმუმ იმ სისხლის სამართლის დანაშაულებთან დაკავშირებით, რომლებისთვისაც ინტერნეტ-ტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვება ხორციელდება მსგავს სისხლის სამართლის საქმეებში.

**მუხლი 34. შინაარსობრივ მონაცემთა ხელში
ჩაგდებასთან დაკავშირებული
ორმხრივი დახმარება**

წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, დაეხმარონ ერთმანეთს კომპიუტერული სისტემის საშუალებით გადაცემულ კონკრეტულ კომუნიკაციების შინაარსობრივი მონაცემების მიმდინარე შეგროვებასა ან

ჩაწერასთან დაკავშირებით, იმდენად, რამდენადაც ეს ნებადართულია მათი შესაბამისი ხელშეკრულებებითა და ეროვნული კანონმდებლობებით.

კარი 3 სადღეღამისო ქსელი

მუხლი 35. მუდმივი ქსელი

1. ყველა წევრი სახელმწიფო ვალდებულია, დანიშნოს საკონტაქტო პირი, რომელთან დაკავშირებაც შესაძლებელი იქნება 24 საათის განმავლობაში კვირაში 7 დღე, რათა უზრუნველყოს კომპიუტერულ სისტემებსა და მონაცემებთან დაკავშირებულ დანაშაულთა გამოძიება ან დევნა, ან დანაშაულთა მტკიცებულების ელექტრონული ფორმით შეგროვებისათვის საჭირო გადაუდებელი დახმარება. ამგვარი დახმარება უნდა გულისხმობდეს ხელშეწყობას ან, მისი ეროვნული კანონმდებლობით ან პრაქტიკით დასაშვებობის შემთხვევაში, უშუალოდ განხორციელებას შემდეგი ზომებისა:

ა. ტექნიკური რჩევით უზრუნველყოფა;

ბ. 29-30-ე მუხლებით გათვალისწინებულ მონაცემთა დაცვა;

გ. მტკიცებულებათა შეგროვება, სამართლებრივი ინფორმაციის დაცვა და ექვმიტანილთა ადგილმდებარეობის დადგენა.

2. ა. წევრი სახელმწიფოს საკონტაქტო პირი ვალდებულია, ჰქონდეს სასწრაფო კავშირის დამყარების საშუალება სხვა წევრი ქვეყნების საკონტაქტო პირებთან.

ბ. თუ წევრი სახელმწიფოს მიერ დანიშნული საკონტაქტო პირი არ არის ამ წევრი სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთდახმარებაზე ან ექსტრადიციაზე პასუხისმგებელ ცენტრალურ ან ადგილობრივ სახელისუფლებო ორგანოთა წარმომადგენელი, საკონტაქტო პირი ვალდებულია, უზრუნველყოს მისი მხრიდან შესაბამის ორგანოებთან სწრაფი დაკავშირების საშუალება.

3. ყველა წევრი სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს პერსონალის კვალიფიციურობა და კარგად აღჭურვილობა, რათა ხელი შეუწყოს ქსელის მუშაობას.

თავი IV დასკვნითი დებულებანი

მუხლი 36. ხელმოწერა და ძალაში შესვლა

1. ეს კონვენცია ღიაა ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების და იმ არამონაწილე სახელმწიფოების მიერ ხელმოსაწერად, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მის შემუშავებაში.

2. ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას, თანხმობასა და დადასტურებას. რატიფიკაციის, მიღების

ან დადასტურების დოკუმენტები ინახება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

3. ეს კონვენცია ძალაში შევა ხუთი სახელმწიფოს, მათ შორის ევროპის საბჭოს მინიმუმ სამი წევრი სახელმწიფოს მიერ, პირველი და მე-2 ნაწილების დებულებათა შესაბამისად, ამ კონვენციისადმი თავიანთი ვალდებულების აღიარების დღიდან სამ თვიანი ვადის გასვლიდან შემდგომი თვის პირველ დღეს.

4. ნებისმიერი ხელმომწერი სახელმწიფოსათვის, რომელიც შემდგომში გამოხატავს თავის ნებას, აღიაროს თავისი ვალდებულება ამ კონვენციის შესაბამისად, ეს კონვენცია ძალაში შევა მომდევნო თვის პირველ დღეს, ამ სახელმწიფოს მიერ, პირველი და მე-2 ნაწილების დებულებათა შესაბამისად, ამ კონვენციისადმი თავისი ვალდებულების აღიარებიდან სამი თვის გასვლის შემდეგ.

მუხლი 37. კონვენციაზე შეერთება

1. ამ კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, კონვენციაზე ხელისმომწერ სახელმწიფოებთან კონსულტაციისა და მათგან ერთსულოვანი თანხმობის მიღების შემდეგ, შეუძლია მოიწვიოს ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც არ არის საბჭოს წევრი და რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა მის შემუშავებაში, შეუერთდეს ამ კონვენციას. ეს გადაწყვეტილება, ევროპის საბჭოს წესდების მე-20(დ) მუხლის თანახმად, მიღებულ უნდა იქნეს უმრავლესობის მიერ და ხელმომწერ

სახელმწიფოთა წარმომადგენლების ერთსულოვანი კენჭისყრით, რომლებიც მინისტრთა კომიტეტის წევრები არიან.

2. ზემოთ ხსენებული პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კონვენციასთან შეერთების მსურველი ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, კონვენცია ძალაში შევა მომდევნო თვის პირველ დღეს, ამ სახელმწიფოს მიერ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეერთების დოკუმენტის დეპონირების დღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ.

მუხლი 38. ტერიტორიული გამოყენება

1. ნებისმიერ სახელმწიფოს უფლება აქვს, რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან შეერთების შესახებ დოკუმენტის ხელმოწერის დროს ან დეპონირებისას, განსაზღვროს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებსაც შეეხება ეს კონვენცია.

2. სახელმწიფოს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მოგვიანებით, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადებით გააფართოვოს ამ კონვენციის გამოყენება ამ განცხადებაში აღნიშნულ ნებისმიერ ტერიტორიაზე. ამგვარ ტერიტორიასთან დაკავშირებით კონვენცია ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ ამ განცხადების მიღებიდან სამ თვიანი ვადის გასვლის შემდეგ მომდევნო თვის პირველ დღეს.

3. წინა ორი ნაწილით გაკეთებული ნებისმიერი განცხადება, ამგვარ განცხადებაში მითითებული ტერიტორიიდან გამომდინარე, შეიძლება უკან იქნეს

გათხოვილი ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი შესაბამისი შეტყობინების გაკეთების გზით. განცხადების უკან გათხოვნა შესაძლებელი იქნება მომდევნო თვის პირველ დღეს, გენერალური მდივნის მიერ ამგვარი შეტყობინების მიღებიდან სამ თვიანი ვადის გასვლის შემდეგ.

მუხლი 39. კონვენციის შედეგები

1. ამ კონვენციის მიზანია, წევრ სახელმწიფოებს შორის დადებული ისეთი მრავალმხრივი ან ორმხრივი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებათა შევსება, როგორცაა:

- ევროპული კონვენცია ექსტრადიციის თაობაზე, ხელმოსაწერად ღიაა პარიზში, 1957 წლის 13 დეკემბრიდან (ETS №. 24);

- ევროპული კონვენცია სისხლის სამართლის საკითხებში ორმხრივი დახმარების თაობაზე, ხელმოსაწერად ღიაა სტრასბურგში, 1959 წლის 29 აპრილიდან (ETS №. 30);

- ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი სისხლის სამართლის საკითხებში ურთიერთდახმარების თაობაზე, ხელმოსაწერად ღიაა სტრასბურგში, 1978 წლის 17 მარტიდან (ETS №. 99).

2. თუ ორ ან მეტ წევრ სახელმწიფოს უკვე დადებული აქვს შეთანხმება ან ხელშეკრულება ამ კონვენციაში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ან დაამყარეს სხვა სახის კავშირი ამგვარ საკითხებზე, ან გეგმავენ ამის გაკეთებას, ისინი აგრეთვე ვალდებული არიან,

გამოიყენონ ეს შეთანხმება ან ხელშეკრულება, ან შესაბამისად მოაწესრიგონ ეს ურთიერთობები. ამასთან, თუ წევრი სახელმწიფოები დაამყარებენ თავიანთ ურთიერთობას ამ კონვენციით განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ისეთი გზით, რომელიც არ რეგულირდება ამ კონვენციით, ისინი ვალდებული არ არიან, განახორციელონ ეს ისეთი გზით, რომელიც არ ეწინააღმდეგება კონვენციის მიზნებსა და პრინციპებს.

3. ამ კონვენციის არცერთი დებულება გავლენას არ ახდენს წევრი სახელმწიფოს სხვა უფლებებზე, შეზღუდვებზე, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობაზე.

მუხლი 40. განცხადებები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მისამართით გაკეთებული წერილობითი შეტყობინებით, ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს უფლება აქვს, რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან შეერთების შესახებ დოკუმენტის ხელმოწერის დროს ან დეპონირებისას განაცხადოს, რომ იგი იყენებს დამატებითი ელემენტების მოთხოვნის საშუალებას, როგორც ამას ითვალისწინებს კონვენციის მუხლები 2, 3, 6.1(ბ), 7, 9.3 და 27.9(ე).

მუხლი 41. დებულება ფედერალური სახელმწიფოს შესახებ

1. ფედერალურ სახელმწიფოს უფლება აქვს, საკუთარ თავზე აიღოს ამ კონვენციის II თავით გათვალისწინებული ვალდებულებანი, თანახმად მისი ძირითადი პრინციპებისა, რომელიც არეგულირებს ურთიერთდამოკიდებულებას ცენტრალურ მთავრობასა და მის სახელმწიფოებრივ ერთეულებს, ან სხვა მსგავს ტერიტორიულ წარმონაქმნებს შორის, იმ პირობით, რომ იგი შეუძლებელს არ ხდის III თავით გათვალისწინებული თანამშრომლობის საშუალებას.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გაკეთებული დათქმის შემთხვევაში, ფედერალურ სახელმწიფოს არ შეუძლია ისარგებლოს ამგვარი დათქმის პირობებით იმისათვის, რომ გამორიცხოს ან არსებითად შეამციროს თავისი ვალდებულებები II თავში აღნიშნული ზომების უზრუნველსაყოფად. მთლიანობაში, ამ ზომებთან დაკავშირებით, იგი ვალდებულია, უზრუნველყოს მართლმსაჯულების განხორციელების ფართო და ეფექტური საშუალება.

3. ფედერალური მთავრობა ვალდებულია, ინფორმაცია მიაწოდოს მის შემადგენელ სახელმწიფოთა ან მსგავს ტერიტორიულ წარმონაქმნთა შესაბამის სახელისუფლებო ორგანოებს, რომელთაც ფედერაციის კონსტიტუციური სისტემით არ ევალებათ, მიიღონ სამართლებრივი ზომები ამ კონვენციის იმ დებულებებთან დაკავშირებით, რომელთა შესრულებაც მათი სამართლებრივი იურისდიქციის ფარგლებში უნდა მოხდეს ისევე, როგორც მისი შეხედულება, რომელსაც

თავად ფედერალური მთავრობა ეთანხმება და რომელიც წახალისებს მათ, გადადგან შესაბამისი ნაბიჯები ამ დებულებათა ასამოქმედებლად.

მუხლი 42. დათქმები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი მიმართული წერილობითი შეტყობინებით ნებისმიერ სახელმწიფოს უფლება აქვს, რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების შესახებ დოკუმენტის ხელმოწერის დროს ან დეპონირებისას განაცხადოს, რომ იგი სარგებლობს დათქმის უფლებ(ებ)ით შემდეგი მუხლების მიმართ: 4.2, 6.3, 9.4, 10.3, 11.3, 14.3, 22.2, 29.4 და 41.1. სხვა დათქმის გაკეთება დაუშვებელია.

მუხლი 43. დათქმათა სტატუსი და უკან გათხოვა

1. წევრ სახელმწიფოს, რომელიც აკეთებს დათქმას 42-ე მუხლის შესაბამისად, უფლება აქვს სრულად ან ნაწილობრივ გაითხოვოს იგი უკან ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული შეტყობინების საშუალებით. ეს გათხოვა ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ ამგვარი შეტყობინების მიღების დღეს. თუ შეტყობინების თანახმად დათქმის გათხოვა ძალაში უნდა შევიდეს ამ შეტყობინებაში აღნიშნულ დღეს და თუ ეს თარიღი არის უფრო გვიანი, ვიდრე გენერალური მდივნის მიერ ამ შეტყობინების

მიღების თარიღი, გამოთხოვა ძალაში შევა შეტყობინებაში მითითებულ (შედარებით გვიან) დღეს.

2. ის წევრი სახელმწიფო, რომელსაც გაკეთებული აქვს დათქმა 42-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებულია, გაითხოვოს იგი, სრულად ან ნაწილობრივ, როგორც კი შესაბამისი საშუალება მიეცემა.

3. ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს შეუძლია დროდადრო გამოჰკითხოს სახელმწიფოებს, რომლებსაც 42-ე მუხლის თანახმად გაკეთებული აქვთ ერთი ან მეტი დათქმა, აპირებენ თუ არა ამ დათქმ(ებ)ის გათხოვას.

მუხლი 44. ცვლილებები

1. ამ კონვენციაში ცვლილებათა შეტანის შემოთავაზება შეუძლია ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს. ამის თაობაზე ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ვალდებულია, ჩაატაროს კონსულტაციები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებთან, იმ არამონაწილე სახელმწიფოებთან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ კონვენციის შემუშავებაში ისევე, როგორც ნებისმიერ სახელმწიფოსთან, რომელიც უკვე შეუერთდა ან მიწვეულია, რათა შეუერთდეს ამ კონვენციას 37-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად.

2. წევრი სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული ნებისმიერი ცვლილება გადაეცემა სისხლის სამართლის პრობლემათა ევროპულ კომიტეტს (CDPC), რომელიც ვალდებულია, თავისი შეხედულება ამ შეთავაზებულ ცვლილებასთან დაკავშირებით გააცნოს მინისტრთა კომიტეტს.

3. მინისტრთა კომიტეტი ვალდებულია, განიხილოს შეთავაზებული ცვლილება და სისხლის სამართლის პრობლემათა ევროპული კომიტეტის შეხედულება ამის თაობაზე, რის შემდეგაც, ამ კონვენციის არამონაწილე სახელმწიფოებთან კონსულტაციის შემდეგ, შეუძლია მიიღოს ეს ცვლილება.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული ნებისმიერი ცვლილების ტექსტი დადასტურებისათვის უნდა გადაეგზავნოს წევრ სახელმწიფოებს.

5. ამ მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი ცვლილება ძალაში შევა ოცდამეათე დღეს, მას შემდეგ, რაც ყველა წევრი სახელმწიფო შეატყობინებს გენერალურ მდივანს დადასტურების თაობაზე.

მუხლი 45. დავების გადაწყვეტა

1. სისხლის სამართლის პრობლემათა ევროპული კომიტეტი (CDPC) ინფორმირებულ უნდა იქნეს ამ კონვენციის განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით.

2. წევრ სახელმწიფოებს შორის ამ კონვენციის განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის შემთხვევაში, ეს სახელმწიფოები ვალდებული არიან, მოაგვარონ ეს დავა მოლაპარაკების ან მათ მიერ არჩეული სხვა მშვიდობიანი გზით, მათ შორის დავასთან დაკავშირებული განცხადების შეტანა სისხლის სამართლის პრობლემათა ევროპულ კომიტეტში საარბიტრაჟო ტრიბუნალში, რომლის გადაწყვეტილებაც

ამ წევრი სახელმწიფოებისათვის სავალდებულო იქნება, ან გაეროს საერთაშორისო სასამართლოში, დავაში მონაწილე წევრ სახელმწიფოთა შეთანხმების მიხედვით.

მუხლი 46. წევრ სახელმწიფოთა კონსულტაცია

1. წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, პერიოდულად ჩაატარონ კონსულტაციები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა. ამ კონვენციის ეფექტური გამოყენება და იმპლემენტაცია, მათ შორის, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის, ასევე ამ კონვენციით გაკეთებული ნებისმიერი განცხადებისა და დათქმის შედეგთა განსაზღვრა;

ბ. კომპიუტერული დანაშაულისა და მტკიცებულების ელექტრონული ფორმით შეგროვების თაობაზე მნიშვნელოვან სამართლებრივ, პოლიტიკურ ან ტექნოლოგიურ განვითარებასთან დაკავშირებით არსებული ინფორმაციის გაცვლა;

გ. კონვენციაში შესაძლო დამატებისა და ცვლილებათა გან- ხილვა.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ კონსულტაციათა შედეგები პერიოდულად უნდა ეცნობოს სისხლის სამართლის პრობლემათა ევროპულ კომიტეტს (CDPC).

3. სისხლის სამართლის პრობლემათა ევროპულმა კომიტეტმა საჭიროებისამებრ ხელი უნდა შეუწყოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ კონსულტაციებს და მიიღოს საჭირო ზომები, რათა დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს კონვენციისადმი

დამატებისა თუ შესწორების შეტანაში. ამ კონვენციის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს სამი წლის შემდეგ სისხლის სამართლის პრობლემათა ევროპული კომიტეტი ვალდებულია, წევრ სახელმწიფოებთან ერთად გადასინჯოს კონვენციის ყველა დებულება და, თუ საჭიროა, გამოთქვას რეკომენდაცია შესაბამის ცვლილებებთან დაკავშირებით.

4. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დებულებათა განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები დაფარულ უნდა იქნეს წევრი სახელმწიფოების მიერ შეთანხმებული სქემით, გარდა ევროპის საბჭოს მიერ გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

5. ამ მუხლით დაკისრებულ მოვალეობათა განხორციელებაში წევრ სახელმწიფოებს დახმარებას უწევს ევროპის საბჭოს სამდივნო.

მუხლი 47. დენონსაცია

1. ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, მოახდინოს ამ კონვენციის დენონსაცია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული შეტყობინების საშუალებით.

2. ამგვარი დენონსაცია ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ ამ შეტყობინების მიღებიდან სამი თვის გასვლის შემდეგ მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 48. შეტყობინება

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ვალდებულია, შეატყობინოს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს,

არამონაწილე სახელმწიფოებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ კონვენციის შემუშავებაში, აგრეთვე ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც უკვე შეუერთდა ან მოწვეულია, რათა შეუერთდეს ამ კონვენციას:

ა. ნებისმიერი ხელმოწერის თაობაზე;

ბ. რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების შესახებ ნებისმიერი დოკუმენტის მიღების თაობაზე;

გ. 36-37-ე მუხლების შესაბამისად ამ კონვენციის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღი;

დ. მე-40 მუხლით გაკეთებული ნებისმიერი განცხადების ან 42-ე მუხლის თანახმად გაკეთებული ნებისმიერი დათქმის თაობაზე;

ე. ამ კონვენციასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედების, შეტყობინების ან კომუნიკაციის თაობაზე.

ამის დასტურად, სათანადო უფლებამოსილების მქონე მხა-რეებმა ხელი მოაწერეს ამ კონვენციას.

შესრულებულია ბუდაპეშტში, 2001 წლის 23 ნოემბერს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ორივე ტექსტი თანაბრად აუთენტურია, ერთ პირად, რომელიც შეინახება ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ვალდებულია, გაუზიაროს დამოწმებული ასლები ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს, არამონაწილე სახელმწიფოებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ კონვენციის შემუშავებაში, და ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც მოწვეულია, რათა შეუერთდეს მას.

ხელმოწერილია საქართველოს მიერ

**კიბერდამნაშავეობის შესახებ ევროპული კონვენციის
დამატებითი ოქმი, კომპიუტერული სისტემების
მემწეობით ჩადენილი რასისტული და ქსენოფობიური
ხასიათის ქმედებათა კრიმინალიზაციის შესახებ**

ქვემოთ ხელისმომწერი, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები და „კიბერდამნაშავეობის შესახებ“ კონვენციის, რომელიც ხელმოსაწერად გაიხსნა ქ. ბუდაპეშტში, 2001 წლის 23 ნოემბერს, სხვა მხარე სახელმწიფოები, ითვალისწინებენ, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა;

იხსენებენ, რომ ყველა ადამიანი დაბადებულია თავისუფლად და ღირსებასა და უფლებებში თანასწორუფლებიანად;

აღნიშნავენ რა, ადამიანის ყველა უფლებათა სრული და ეფექტური იმპლემენტაციის უზრუნველყოფის საჭიროებას ნებისმიერი დისკრიმინაციისა და განსხვავების გარეშე, ისე როგორც ეს ჩამოყალიბებულია ევროპულ და სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებში;

არიან რა დარწმუნებულნი, რომ რასისტული და ქსენოფობიური ხასიათის ქმედებები წარმოადგენენ ადამიანის უფლებათა დარღვევას და საფრხეს უქმნიან კანონის უზენაესობასა და დემოკრატიულ სტაბილურობას;

ითვალისწინებენ, რომ ეროვნულმა და საერთაშორისო სამართალმა უნდა დაუშვას ადეკვატური სამართლებრივი რეაგირება კომპიუტერული სისტემების

მეშვეობით რასისტული და ქსენოფობიური ხასიათის პროპაგანდაზე;

აღნიშნავენ ფაქტს, რომ ასეთი ქმედებების პროპაგანდა, ხშირად ექვემდებარება კრიმინალიზაციას ეროვნულ კანონმდებლობაში;

ითვალისწინებენ «კიბერდამნაშავეობის შესახებ» კონვენციას, რომელიც ადგენს საერთაშორისო თანამშრომლობის თანამედროვე და ხისტ საშუალებებს და არაინ რა დარწმუნებულნი მატერიალური სამართლის, რასისტული და ქსენოფობიური პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებულ დებულებათა ჰარმონიზაციის აუცილებლობაში;

აღიარებენ, რომ კომპიუტერული სისტემები იძლევიან უპრეცედენტო საშუალებებს აზრის გამოხატვის თავისუფლების გაადვილებისა და მსოფლიოს ირგვლივ კომუნიკაციებისთვის;

აღიარებენ, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად საყრდენს დემოკრატიული საზოგადოებისთვის და არის ერთ-ერთი ფუძემდებლური პირობა მისი განვითარებისა და თითოეული ადამიანის განვითარებისთვის;

თუმცა, არიან რა შემფოთებულნი ასეთი კომპიუტერული სისტემების არასწორად ან არამართებულად გამოყენების რისკით რასისტული და ქსენოფობიური პროპაგანდის გავრცელების თვალსაზრისით;

სჯერათ, რომ აუცილებელია მართებული ბალანსის მიღწევა აზრის გამოხატვის თავისუფლებისა და რასისტული და ქსენოფობიური ხასიათის აქტების წინააღმდეგ ბრძოლას შორის;

ითვალისწინებენ, რომ წინამდებარე ოქმი არ არის გამიზნული შელახოს ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული ჩამოყალიბებული პრინციპები;

ითვალისწინებენ, ამ სფეროში არსებულ შესაბამის საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს და განსაკუთრებით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციასა და დისკრიმინაციის საერთო აკრძალვასთან დაკავშირებულ მის მე-12 ოქმს, სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ევროპის საბჭოს არსებულ კონვენციებს და განსაკუთრებით «კიბერდამნაშავეობის შესახებ» კონვენციას, გაეროს 1965 წლის 21 დეკემბრის საერთაშორისო კონვენციას რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, ევროკავშირის 1996 წლის 15 ივლისის საერთო მოქმედებას, რომელიც მიღებულია საბჭოს მიერ ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-3 მუხლის საფუძველზე, რაც დაკავშირებულია რასიზმისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ მოქმედებასთან;

ესალმებიან რა, უკანასკნელ მოვლენებს, რომელიც განავითარებს საერთაშორისო ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობას კიბერდამნაშაულის, რასიზმისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ ბრძოლაში;

ითვალისწინებენ ევროპის საბჭოს სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურთა მეორე სამიტზე (ქ. სტრასბურგი, 1997 წლის 10-11 ოქტომბერი) მიღებულ სამოქმედო გეგმას, რათა ევროპის საბჭოს სტანდარტებსა და ფასეულობებზე დაყრდნობით მოუძებნონ საერთო პასუხები ახალი ტექნოლოგიების განვითარებას;

შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I საერთო დებულებები

მუხლი 1

წინამდებარე ოქმის მიზანია, ოქმის მხარეებს შორის ჩაანაცვლოს «კიბერდამნაშავეობის შესახებ» კონვენციის დებულებები, რომელიც ხელმოსაწერად გაიხსნა 2001 წლის 23 ნოემბერს (შემდგომში «კონვენციად» წოდებული), კომპიუტერული სისტემების მეშვეობით რასისტული და ქსენოფობიური ხასიათის ქმედებების კრიმინალიზაციის თვალსაზრისით.

მუხლი 2

1. წინამდებარე ოქმის მიზნებისთვის: «რასისტული და ქსენოფობიური მატერიალი» ნიშნავს ნებისმიერ წერილობით მატერიალს, ნებისმიერ სურათს ან იდეათა ან თეორიათა სხვა წარმოსახვას, რომელის იცავს, ავითარებს ან მოუწოდებს შეუწყნარებლობისკენ, დისკრიმინაციას ან ძალადობისაკენ ნებისმიერი პირის ან პირთა ჯგუფის წინააღმდეგ, რომელიც დაფუძნებულია რასაზე, კანის ფერზე, ჩამომავლობაზე ან ეროვნულ თუ ეთნიკურ კუთვნილებაზე, ისევე როგორც

რელიგიაზე, თუ გამოყენებულია როგორც წინაპირობა ნებისმიერი ამ ფაქტორებისთვის.

2. წინამდებარე ოქმში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები განიმარტება იგივე წესით, რა წესითაცაა განმარტებული კონვენციით.

თავი II

ეროვნულ დონეზე განსახორციელებელი ზომები

მუხლი 3. კომპიუტერული სისტემების მეშვეობით რასისტული და ქსენოფობიური მატერიალის გავრცელება

1. თითოეული მხარე მიიღებს ისეთ საკანონმდებლო და სხვა ზომებს, რაც შეიძლება იყოს აუცილებელი, რათა შემდეგი ქმედებები, როდესაც ჩადენილია განზრახ და უფლების გარეშე, ჩამოყალიბდეს როგორც სისხლის სამართლის დანაშაული ეროვნულ კანონმდებლობაში: კომპიუტერული სისტემების მეშვეობით რასისტული და ქსენოფობიური მატერიალის საზოგადოებისთვის მიწოდება ან სხვაგვარად გავრცელება.

2. მხარეს შეუძლია დაიტოვოს უფლება არ შეუფარდოს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, როგორც ეს ჩამოყალიბებულია წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში, როდესაც მე-2 მუხლის პირველ პუნქტში დადგენილი მატერიალი იცავს, ავითარებს ან მოუწოდებს დისკრიმინაციისკენ, რომელიც არ არის დაკავშირებული

შეუწყნარებლობასთან ან ძალადობასთან, თუ სხვა ეფექტური საშუალებები არის ხელმისაწვდომი.

3. წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის მიუხედავად, მხარეს შეუძლია დაიტოვოს უფლება არ გამოიყენოს პირველი პუნქტი დისკრიმინაციის იმ საქმეებთან მიმართებაში, რომლებისთვისაც, მის ეროვნულ საკანონმდებლო სისტემაში აზრის გამოხატვის თავისუფლების ჩამოყალიბებული პრინციპების გამო, მას არ შეუძლია იმ ეფექტური საშუალებების გამოყენება, რომლებიც მითითებულია ზემოხსენებულ მეორე პუნქტში.

მუხლი 4. რასიზმითა და ქსენოფობიით მოტივირებული საფრთხე

თითოეული მხარე განახორცილებს ისეთ საკანონმდებლო და სხვა ზომებს, რომლებიც შეიძლება იყოს აუცილებელი, რათა შემდეგი ქმედებები, როდესაც ჩადენილია განზრახ და უფლების გარეშე, ჩამოყალიბდეს როგორც სისხლის სამართლის დანაშაული ეროვნულ კანონმდებლობაში: კომპიუტერული სისტემის მეშვეობით საფრთხის შექმნა, ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი მძიმე დანაშაულის ჩადენით (I) პირებისთვის, მათი ისეთი ჯგუფისადმი კუთვნილების მიზეზით, რომელიც გამოირჩევა რასით, კანის ფერით, ჩამომავლობით ან ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილებით, ისევე როგორც რელიგიით თუ გამოყენებულია როგორც წინაპირობა ნებისმიერი ამ

ფაქტორებისთვის, ან (II) პირთა ჯგუფისთვის, რომელიც გამოირჩევა ნებისმიერი ამ მახასიათებლით.

მუხლი 5. რასიზმითა და ქსენოფობიით მოტივირებული ძალადობა

1. თითოეული მხარე განახორცილებს ისეთ საკანონმდებლო და სხვა ზომებს, რომლებიც შეიძლება იყოს აუცილებელი, რათა შემდეგი ქმედებები, როდესაც ჩადენილია განზრახ და უფლების გარეშე, ჩამოყალიბდეს როგორც სისხლის სამართლის დანაშაული ეროვნულ კანონმდებლობაში: კომპიუტერული სისტემის მეშვეობით, საჯარო ძალადობა (I) პირებზე, მათი ისეთი ჯგუფისადმი კუთვნილების მიზეზით, რომელიც გამოირჩევა რასით, კანის ფერით, ჩამომავლობით ან ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილებით, ისევე როგორც რელიგიით თუ გამოყენებულია როგორც წინაპირობა ნებისმიერი ამ ფაქტორებისთვის, ან (II) პირთა ჯგუფზე, რომელიც გამოირჩევა ნებისმიერი ამ მახასიათებლით.

2. მხარეს შეუძლია:

ა. მოითხოვოს, რომ წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ დანაშაულს გააჩნდეს ისეთი შედეგი, რომ პირველ პუნქტში მითითებულ პირს ან პირთა ჯგუფს ემუქრება ზიზღი, გაკიცხვა ან დაცინვა; ან

ბ. დაიტოვოს უფლება არ გამოიყენოს, სრულად ან ნაწილობრივ წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტი.

**მუხლი 6. გენოციდისა და კაცობრიობის წინააღმდეგ
მიმართულ დანაშაულთა უარყოფა, მნიშვნელობის
გაქარწყლება, მოწონება ან გამართლება**

1. თითოეული მხარე განახორცილებს ისეთ საკანონმდებლო და სხვა ზომებს, რომლებიც შეიძლება იყოს აუცილებელი, რათა შემდეგი ქმედებები, როდესაც ჩადენილია განზრახ და უფლების გარეშე, ჩამოყალიბდეს როგორც სისხლის სამართლის დანაშაული ეროვნულ კანონმდებლობაში: კომპიუტერული სისტემის მეშვეობით საზოგადოებისთვის იმ მატერიალის მიწოდება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარად უზრუნველყოფა, რომელიც უარყოფს, აქარწყლებს მნიშვნელობას, იწონებს ან ამართლებს გენოციდისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შემადგენელ აქტებს, როგორც ეს დადგენილია საერთაშორისო სამართლით და ასეთად აღიარებულია 1946 წლის 8 აგვისტოს ლონდონის შეთანხმებით ჩამოყალიბებული საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის ან სხვა შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტით ჩამოყალიბებული საერთაშორისო სასამართლოს, რომლის იურისდიქციაც აღიარებული აქვს მხარეს, საბოლოო და სავალდებულო გადაწყვეტილებებით.

2. მხარეს შეუძლია:

ა. მოითხოვოს, რომ წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული უარყოფა და მნიშვნელობის გაქარწყლება უნდა იყოს ჩადენილი იმ მიზნით, რომ გამოიწვიოს ზიზღი, დისკრიმინაცია ან ძალადობა ნებისმიერი პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ, რაც

დაფუძნებული იქნება რასის, კანის ფერის, ჩამომავლობის ან ეროვნულ თუ ეთნიკურ წარმომავლობაზე, ისევე როგორც რელიგიაზე, თუ გამოყენებულია როგორც წინაპირობა ნებისმიერი ამ ფაქტორებისთვის, ან სხვაგვარად

ბ. დაიტოვოს უფლება არ გამოიყენოს, სრულად ან ნაწილობრივ წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტი.

მუხლი 7. თანამონაწილეობა და დაყოლიება

თითოეული მხარე განახორცილებს ისეთ საკანონმდებლო და სხვა ზომებს, რომლებიც შეიძლება იყოს აუცილებელი, რათა თანამონაწილეობა და დაყოლიება წინამდებარე ოქმის შესაბამისად დადგენილი დანაშაულების ჩადენაში, ასეთი დანაშაულის ჩადენის სურვილით, როდესაც ჩადენილია განზრახ და უფლების გარეშე, ჩამოყალიბდეს როგორც სისხლის სამართლის დანაშაული ეროვნულ კანონმდებლობაში.

თავი III

ურთიერთობა კონვენციასა და წინამდებარე ოქმს შორის

მუხლი 8. ურთიერთობა კონვენციასა და წინამდებარე ოქმს შორის

1. კონვენციის პირველი, მე-12, მე-13, 22-ე, 41-ე, 44-ე, 45-ე და 46-ე მუხლები გამოიყენება *mutatis mutandis* წინამდებარე ოქმთან მიმართებაში.

2. მხარეები, წინამდებარე ოქმის მე-2-დან მე-7 მუხლამდე მიმართებაში განავრცობენ კონვენციის მე-14-დან 21-ე მუხლამდე, 23-დან 35-ე მუხლამდე ჩამოყალიბებულ ზომათა გამოყენებას.

თავი IV დასკვნითი დებულებები

მუხლი 9. სავალდებულოობის გამოხატვა

1. წინამდებარე ოქმი ღიაა ხელმოსაწერად იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას და რომლებმაც შეიძლება გამოხატონ მათი თანხმობა სავალდებულოობაზე:

ა. რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების აუცილებლობაზე დათქმის გარეშე გაკეთებული ხელმოწერით; ან

ბ. რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების აუცილებლობაზე დათქმით გაკეთებული ხელმოწერით, რომელსაც მოსდევს რატიფიკაცია, მიღება ან დამტკიცება.

1. მხარეს არ შეუძლია წინამდებარე ოქმის ხელმოწერა რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების აუცილებლობაზე დათქმის გარეშე, ან რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების შესახებ სიგელის დეპონირება

თუ მას უკვე არ გაუკეთებია ან იმავდროულად არ მოახდენს კონვენციის რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირებას.

2. რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების შესახებ ინსტრუმენტები დეპონირებულ იქნება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 10. ძალაში შესვლა

1. წინამდებარე ოქმი ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამოწურვას იმ თარიღიდან, როდესაც ხუთმა სახელმწიფომ გამოხატა თანხმობა ოქმის სავალდებულოობაზე, მე-9 მუხლის დებულებათა შესაბამისად.

2. იმ ნებისმიერ სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელიც შემდგომში გამოხატავს მის თანხმობას სავალდებულოობაზე, ოქმი ძალაში შევა იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამოწურვას რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების აუცილებლობაზე დათქმის გარეშე გაკეთებული ხელმოწერის, ან რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების შესახებ სიგელის დეპონირების თარიღიდან.

მუხლი 11. მიერთება

1. წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ, ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც მიუერთდა კონვენციას, ასევე შეუძლია ოქმთან მიერთება.

2. მიერთება ხორციელდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან მიერთების შესახებ სიგელის დეკონირების გზით, რომელიც ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიან პერიოდს დეკონირების თარიღიდან.

მუხლი 12. დათქმები და განაცხადებები

1. მხარის მიერ კონვენციის დებულებებთან მიმართებაში გაკეთებული დათქმები ასევე გამოიყენება წინამდებარე ოქმთან მიმართებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე განაცხადებს საპირისპიროს ხელმოწერის ან რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეკონირების დროს.

2. ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე მიმართული წერილობითი შეტყობინების გზით, ნებისმიერ მხარეს, ხელმოწერის ან რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეკონირების დროს შეუძლია განაცხადოს, რომ იტოვებს უფლებას გააკეთოს წინამდებარე ოქმის მე-3, მე-5 და მე-6 მუხლებში დაშვებული დათქმა ან დათქმები. იმავედროულად, მხარეს წინამდებარე ოქმის დებულებებთან მიმართებაში შეუძლია ისარგებლოს კონვენციის 22-ე მუხლის მეორე პუნქტითა და 41-ე მუხლის პირველი პუნქტით დაშვებული დათქმებით, მიუხედავად იმისა, თუ იმპლემენტაციის რა გზა აირჩია ამ მხარემ კონვენციასთან მიმართებაში. არანაირი სხვა დათქმა არ დაიშვება.

3. ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე მიმართული წერილობითი შეტყობინებით, ნებისმიერ მხარეს, ხელმოწერის ან რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეკონირების დროს შეუძლია დაიტოვოს უფლება მოითხოვოს დამატებითი ელემენტები, როგორც ეს გათვალისწინებულია წინამდებარე ოქმის მე-5 მუხლის მე-2.ა პუნქტითა და მე-6 მუხლის მე-2.ა პუნქტით.

მუხლი 13. დათქმათა სტატუსი და გამოტანა

1. მხარე, რომელმაც გააკეთა დათქმა ზემოთ მითითებული მე-12 მუხლის შესაბამისად, გამოიტანს ასეთ დათქმას სრულად ან ნაწილობრივ, მაშინვე, როგორც კი გარემოებები გახდინან ამას შესაძლებელს. ასეთი გამოტანა ძალაში შევა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე მიმართული შეტყობინების მიღების თარიღიდან. თუ შეტყობინებაში მითითებულია, რომ დათქმის გამოტანა ძალაში უნდა შევიდეს მითითებულ დროს, და ეს თარიღი მოსდევს გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღს, გამოტანა ძალაში შევა ამ მომდევნო დღეს.

2. ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს შეუძლია პერიოდულად დაეკითხოს მხარეებს, რომლებმაც გააკეთეს ერთი ან მეტი დათქმა მე-12 მუხლის შესაბამისად, ასეთი დათქმის ან დათქმების გამოტანის შესაძლებლობის თაობაზე.

მუხლი 14. ტერიტორიული გამოყენება

1. ნებისმიერ მხარეს ხელმოწერის, ან რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეკონირებისას შეუძლია მიუთითოს ის ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებზეც გამოიყენება წინამდებარე ოქმი.

2. ნებისმიერ მხარეს შეუძლია, ნებისმიერ მომდევნო დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე მიმართული განცხადებით განავრცოს წინამდებარე ოქმის მოქმედება, ასეთ განცხადებაში მითითებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე. ასეთ ტერიტორიასთან მიმართებაში, ოქმი ძალაში შევა იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიან პერიოდს გენერალური მდივნის მიერ განცხადების მიღების თარიღიდან.

3. წინამორბედი ორი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება შეიძლება იქნას გამოტანილი ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე მიმართული შეტყობინების გზით. გამოტანა ძალაში შევა იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამ თვიან პერიოდს გენერალური მდივნის მიერ ასეთი შეტყობინების მიღების თარიღიდან.

მუხლი 15. დენონსაცია

1. ნებისმიერ მხარეს, ნებისმიერ დროს შეუძლია წინამდებარე ოქმის დენონსირება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე მიმართული შეტყობინების გზით.

2. ასეთი დენონსაცია ძალაში შევა იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიან ვადას ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან.

მუხლი 16. შეტყობინებები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, ოქმის შემუშავებაში მონაწილე არაწევრ სახელმწიფოებსა და იმ ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც მიუერთდა ან მიწვეულია ოქმთან მიერთებისთვის:

ა. ნებისმიერი ხელმოწერის თაობაზე;

ბ. რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ ნებისმიერი ინსტრუმენტის დეკონირების თაობაზე;

გ. მე-9, მე-10 და მე-11 მუხლების შესაბამისად, წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;

დ. ნებისმიერ სხვა აქტს, შეტყობინებას ან კომუნიკაციას, რომელიც დაკავშირებულია წინამდებარე ოქმთან.

რის დასტურადაც, შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირებმა, ხელი მოვაწერეთ წინამდებარე ოქმს.

შესრულებულია ქ. სტრასბურგში, 2003 წლის 28 იანვარს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ერთ ასლად, რომელთაგან ორივე თანაბრად ავთენტურია და რომლებიც დეკონირებულ იქნება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი

დამოწმებულ ასლებს გადაუგზავნის ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, ოქმის შემუშავებაში მონაწილე არაწევრ სახელმწიფოებსა და იმ ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც მიწვეულია ოქმთან მიერთებისთვის.

**პერსონალური მონაცემების ავტომატური
დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ
კონვენცია**

პრეამბულა

ქვემოთ ხელმომწერი სახელმწიფოები, ევროპის საბჭოს წევრები, მიიჩნევენ რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანს წარმოადგენს მის წევრებს შორის ერთიანობის მიღწევა, რომელიც ძირითადად დაფუძნებულია კანონის, ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა აღიარებაზე;

მიიჩნევენ სასურველად პიროვნების უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის გარანტიების გავრცელებას, განსაკუთრებით თითოეული ადამიანის უფლებას კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ; ასევე ითვალისწინებენ რა ამა თუ იმ ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადაცემული პერსონალური ინფორმაციის მზარდ ნაკადს, რომელიც ექვემდებარება ავტომატურ დამუშავებას;

ამავე დროს, ადასტურებენ რა თავიანთ ვალდებულებებს უზრუნველყონ ინფორმაციის გაცვლის თავისუფლება საზღვრებისაგან დამოუკიდებლად;

აღიარებენ რა კონფიდენციალურობის დაცვის ძირითადი ასპექტების შეთანხმების აუცილებლობას ხალხთა შორის ინფორმაციის თავისუფალ გაცვლასთან, შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მიზნები და ამოცანები

წინამდებარე კონვენციის მიზანს წარმოადგენს თითოეული პიროვნების უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის უზრუნველყოფა ხელშეკრულების ყოველი მხარის ტერიტორიაზე, მათი ეროვნებისა თუ საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, კერძოდ კი კონფიდენციალურობის დაცვის უფლების უზრუნველყოფა პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას, რომელიც მოცემულ პიროვნებას შეეხება („მონაცემთა დაცვა“).

მუხლი 2. განსაზღვრება

მოცემულ კონვენციაში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები და განსაზღვრებები

ა) “პერსონალური მონაცემები” ნიშნავს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც შეეხება განსაზღვრულ ან განმსაზღვრელ პირს („ინფორმაციის სუბიექტს“);

ბ) „მონაცემთა ავტომატიზირებული ფაილი“ აღნიშნავს ინფორმაციის ნებისმიერ ნაკრებს, რომელიც ექვემდებარება ავტომატურ დამუშავებას;

გ) „ავტომატური დამუშავება“ ნიშნავს შემდეგ ოპერაციებს, რომლებიც სრულდება ინფორმაციის მთელ ნაკრებზე ან მის ნაწილზე ავტომატიზირებული დამუშავების საშუალებებით, კერძოდ: მონაცემთა შენახვა, ამ მონაცემებზე ლოგიკური/მათემატიკური ოპერაციების შესრულება, მათი შეცვლა, წაშლა, ინფორმაციული მოძიება და გავრცელება;

დ) „ფაილის ადმინისტრატორი“ ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, დაწესებულებას ან სხვა ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილია გადაწყვიტოს, რა მიზნებისთვისაა გათვალისწინებული მოცემული ავტომატიზირებული ფაილი, პერსონალური მონაცემების რომელი კატეგორიები ექვემდებარება შენახვას და რა ოპერაციების ჩატარება შეიძლება მათთან მიმართებით.

მუხლი 3. მოქმედების სფერო

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას, იხელმძღვანელონ წინამდებარე კონვენციით პერსონალური მონაცემების ავტომატიზირებულ ფაილებთან მუშაობისა და პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას, რომელიც ხორციელდება კერძო და საზოგადოებრივ სექტორებში.

2. წინამდებარე კონვენციის ხელმოწერისას ან მისი რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან მასთან შეერთების შესახებ დოკუმენტის დეპონირებისას, ასევე ამის შემდგომ ნებისმიერ პერიოდში, ყოველი სახელმწიფო უფლებამოსილია, ევროპის კავშირის გენერალური მდივნის სახელზე დეკლარაციის წარდგენის გზით, განაცხადოს შემდეგზე:

ა) იმის თაობაზე, რომ იგი არ გამოიყენებს მოცემულ კონვენციას პერსონალური მონაცემების ავტომატიზირებული ფაილების გარკვეული კატეგორიის მიმართ, რომელთა სიაც დეპონირებული იქნება. თუმცა, ეს სია არ უნდა შეიცავდეს მონაცემთა ავტომატიზირებული ფაილების იმ კატეგორიებს, რომლებზეც ვრცელდება ადგილობრივი კანონები მონაცემთა დაცვის შესახებ. შემდგომში ყოველთვის, როცა მონაცემთა დაცვის შესახებ ადგილობრივი კანონების მოქმედების სფეროში მოხდება პერსონალური მონაცემების ავტომატიზირებული ფაილების დამატებითი კატეგორიები, სახელმწიფო, ახალი დეკლარაციის წარდგენის გზით, შესაბამის ცვლილებებს შეიტანს აღნიშნულ სიაში.

ბ) იმის თაობაზე, რომ იგი აღნიშნული კონვენციით იხელმძღვანელებს ასევე იმ ინფორმაციის დამუშავებისას, რომელიც მიეკუთვნება პირთა ჯგუფებს, ასოციაციებს, ორგანიზაციებს, კომპანიებს, კორპორაციებს ან სხვა ნებისმიერ ორგანიზაციას, რომლებიც უშუალოდ ან არაპირდაპირი გზით შედგებიან ინდივიდუუმებისაგან, იმისდა მიუხედავად, წარმოადგენენ თუ არა მოცემული ორგანიზაციები იურიდიულ პირს.

გ) იმის თაობაზე, რომ იგი აღნიშნული კონვენციით იხელმძღვანელებს ასევე იმ პერსონალური მონაცემების ფაილებთან მიმართებით, რომლებიც არ ექვემდებარებიან ავტომატიზირებულ დამუშავებას.

3. ყოველი სახელმწიფო, რომელმაც მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ნებისმიერი დეკლარაციის წარდგენის გზით გააფართოვა მოცემული კონვენციის მოქმედების სფერო, უფლებამოსილია თითოეულ დეკლარაციაში განაცხადოს იმის შესახებ, რომ მოქმედების სფეროს ამგვარი გაფართოება შეეხება პერსონალური ინფორმაციის ფაილთა მხოლოდ გარკვეულ კატეგორიებს, რომელთა სიებიც დეკონირებული იქნება.

4. ყოველ მხარეს, რომელიც, ზემოაღნიშნული მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, შესაბამისი დეკლარაციის წარდგენის გზით, წინამდებარე კონვენციის მოქმედების სფეროდან გამორიცხავს პერსონალური მონაცემების ავტომატიზირებული ფაილების გარკვეულ კატეგორიას, უფლება არა აქვს მოცემული კონვენცია გამოიყენოს იმ მხარის შესაბამისი კატეგორიის ფაილების მიმართ, რომელიც არ გამორიცხავს მათ.

5. ანალოგიურად, მხარეს, რომელმაც ზემოაღნიშნული მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, არ გააფართოვა მოცემული კონვენციის მოქმედების სფერო, უფლება არა აქვს მოითხოვოს მოცემული კონვენციის გამოიყენება იმ მხარის პუნქტების მიმართ, რომელმაც განახორციელა ამგვარი გაფართოება.

6. ზემოაღნიშნული მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დეკლარაციები მათ წარმდგენ

სახელმწიფოსთან მიმართებით მოქმედებს მოცემული კონვენციის ძალაში შესვლის მომენტიდან იმ შემთხვევაში, როცა მათი წარდგენა მოხდება რატიფიცირების, მიღების, მოწონების ან მასთან შეერთების შესახებ დოკუმენტების ხელმოწერის ან დეკლარაციებისას. იმ შემთხვევაში, თუ მათი წარდგენა მოხდა მოგვიანებით, მოქმედების ვადა იწყება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ მათი მიღებიდან სამი დღის შემდეგ. შესაძლებელია ამ დეკლარაციების უკან გამოთხოვა მთლინად ან ნაწილობრივ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინების გზით. უკან გამოთხოვა ძალაში შედის შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან სამი თვის შემდეგ.

თავი II

მონაცემთა დაცვის ძირითადი პრინციპები

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებები

1. ყოველი მხარე იღებს ვალდებულებას განახორციელოს აუცილებელი ღონისძიებები შესაბამის კანონმდებლობაში იმ დებულებათა ჩართვისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ თავში წარმოდგენილი მონაცემების დაცვის ძირითადი პრინციპების რეალიზაციის შესაძლებლობებს.

2. აღნიშნული ღონისძიებები მიღებულ უნდა იქნას არა უგვიანეს მოცემული კონვენციის ძალაში შესვლის დღისა ყოველი მხარისათვის.

მუხლი 5. მონაცემთა ხარისხი

პერსონალური მონაცემები, რომლებიც ექვემდებარებიან ავტომატიზირებულ დამუშავებას:

ა) მიღებული და დამუშავებული უნდა იყოს პირდაპირი და კანონიერი გზით;

ბ) შენახული უნდა იქნას ზუსტად განსაზღვრული კანონიერი მიზნებისათვის და არ უნდა იყოს გამოყენებული მათთან შეუთავსებელი გზით;

გ) უნდა იყოს ადეკვატური და არ უნდა აღემატებოდეს იმ მიზნებს, რომლებისთვისაც ისინი ინახება;

დ) უნდა იყოს ზუსტი და საჭიროებისამებრ განახლებადი;

ე) დაცული უნდა იყოს იმ ფორმით, რომელიც იძლევა მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიკაციის საშუალებას მხოლოდ იმ დროში, რაც საჭიროა იმ მიზნებისათვის, რისთვისაც ინახება ეს მონაცემები.

მუხლი 6. მონაცემთა სპეციალური კატეგორიები

პერსონალური მონაცემები, რომლებიც შეეხება რასობრივ წარმომავლობას, პოლიტიკურ, რელიგიურ ან სხვა მრწამსს, ისევე როგორც ჯანმრთელობის მდგომარეობასა თუ სექსუალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები, არ ექვემდებარება ავტომატიზირებულ დამუშავებას გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადგილობრივი კანონმდებლობა უზრუნველყოფს მათი დაცვის შესაბამის გარანტიებს.

იგივე ეხება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ მონაცემებსაც.

მუხლი 7. მონაცემთა დაცვა

ავტომატიზირებულ ფაილებში შენახული მონაცემების დაცვის მიზნით, მიღებულ უნდა იქნას უსაფრთხოების შესაბამისი ზომები მათი შემთხვევითი თუ არასანქცირებული დარღვევის, შემთხვევითი დაკარგვის, ასევე მათთან არასანქცირებული შეღწევის, შეცვლის ან გავრცელების წინააღმდეგ.

მუხლი 8. დამატებითი გარანტიები მონაცემთა სუბიექტებისათვის

ნებისმიერ პირს უნდა შეეძლოს:

ა) მონაცემთა ავტომატიზირებული ფაილის არსებობის ფაქტის დადგენა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ფაილის, მისი ძირითადი მიზნების, ასევე მოცემული ფაილის ადმინისტრატორის პიროვნების, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ან ძირითადი სამუშაო ადგილის შესახებ;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, გარკვეული პერიოდულობითა და გადაჭარბებული დაგვიანებისა თუ დანახარჯების გარეშე, მონაცემთა ავტომატიზირებულ ფაილში მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების არსებობის ფაქტის დადასტურება, ასეთ მონაცემთა მიწოდება მისაღები ფორმით;

გ) საჭიროების შემთხვევაში, შეეძლოს მოითხოვოს ამ მონაცემთა გასწორება ან წაშლა თუ მათი დამუშავება მოხდა ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის გზით, და რომელიც ეთანადება აღნიშნული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლებში გადმოცემულ ძირითად პრინციპებს;

დ) თავისი უფლებების რეალიზაციის მიზნით, მიიღოს ზომები საკუთარ განაცხადზე პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში, რომელიც ავტომატიზირებულ ფაილში პერსონალური მონაცემების არსებობის ფაქტის დადასტურებას შეეხება, თუ მონაცემთა მიწოდება, შეცვლა ან წაშლა განხორციელდა მოცემული მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტების მოთხოვნათა დარღვევით.

მუხლი 9. გამონაკლისები და შეზღუდვები

1. დაუშვებელია ყოველგვარი გამონაკლისი წინამდებარე კონვენციის მე-5, მე-6 და მე-8 მუხლებიდან, გარდა მოცემულ მუხლში განსაზღვრული ფარგლებისა.

2. ამ კონვენციის მე-5, მე-6 და მე-8 მუხლებიდან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარ გადახვევას ითვალისწინებს ხელშეკრულების მხარის კანონმდებლობა და წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოებისათვის აუცილებელ ღონისძიებას, რომელიც მიიღება:

ა) სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფოს მონეტარული ინტერესების ან სისხლისსამართლებრივ დანაშაულებთან ბრძოლის ინტერესების დაცვის მიზნით;

ბ) ინფორმაციის ობიექტებისა და სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზნით.

3. მე-8 მუხლის „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტებში განსაზღვრული უფლებების განხორციელებაში არსებული შეზღუდვები შეიძლება გათვალისწინებულ იქნას ადგილობრივ კანონმდებლობაში, რომელიც შეეხება სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის გამოყენებულ პერსონალური ინფორმაციის ავტომატიზირებულ ფაილებს იმ შემთხვევაში, თუ აშკარაა ინფორმაციის სუბიექტების კონფიდენციალურობის დარღვევის რისკის არარსებობა.

მუხლი 10. სანქციები და გარანტიები

ყოველი მხარე იღებს ვალდებულებას დააწესოს შესაბამისი სანქციები და გარანტიები ადგილობრივი კანონმდებლობის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, რომელიც შეეხება ამ თავში მოცემული მონაცემების დაცვის ძირითად პრინციპებს.

მუხლი 11. გაფართოებული დაცვა

მოცემული თავის არცერთი დებულება არ შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნას, როგორც შემზღუდველი ან სხვაგვარად ხელის შემშლელი რომელიმე მხარის მიერ დაცვის უფრო ფართო ღონისძიებების მიღებისათვის, ვიდრე ამას ითვალისწინებს ეს კონვენცია.

თავი III
მონაცემთა ნაკადების გადაცემა საზღვარზე

**მუხლი 12. პერსონალური მონაცემების ნაკადების
გადაცემა საზღვარზე და ადგილობრივი
კანონმდებლობა**

1. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებები გამოყენებულ უნდა იქნას სახელმწიფო საზღვარზე პერსონალური მონაცემების ნებისმიერი საშუალებით გადაცემის მიმართ, რომლებიც ექვემდებარებიან ავტომატურ დამუშავებას ან მომზადებულნი არიან ამ მიზნისათვის.

2. მხარეს, კონფიდენციალურობის დაცვის მოტივით, უფლება არა აქვს ხელი შეუშალოს პერსონალური მონაცემების გადაცემას სხვა მხარის ტერიტორიაზე ან მოითხოვოს ამისათვის სპეციალური ნებართვა.

3. მიუხედავად ამისა, თითოეული მხარე უფლებამოსილია არ დაეთანხმოს მე-2 პუნქტის დებულებას შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ მისი კანონმდებლობა შეიცავს განსაკუთრებულ დებულებებს პერსონალური მონაცემების ავტომატიზირებული ფაილების განსაზღვრული კატეგორიებისათვის, რაც განპირობებულია ამ მონაცემების ან ფაილების ხასიათით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სხვა მხარის კანონმდებლობა ითვალისწინებს ეკვივალენტურ დაცვას;

ბ) როცა გადაცემა ხორციელდება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული შუამავლის მეშვეობით მისი

ტერიტორიიდან იმ სახელმწიფო ტერიტორიაზე, რომელიც არ წარმოადგენს ხელშეკრულების მონაწილეს; ასევე ისეთი გადაცემის თავიდან აცილების მიზნით, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ამ პუნქტის დასაწყისში მითითებული მხარის კანონმდებლობის გვერდის ავლით.

თავი IV
ურთიერთდახმარება

მუხლი 13. მხარეთა თანამშრომლობა

1. წინამდებარე კონვენციის დანერგვის მიზნით, მხარეები თანხმობას აცხადებენ ურთიერთდახმარებაზე.

2. ამისათვის:

ა) ყოველი მხარე თანამშრომლობისათვის გამოყოფს ერთ ან რამდენიმე ორგანოს, რომელთა დასახელებასა და მისამართს შეატყობინებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს;

ბ) ყოველი მხარე, რომელიც თანამშრომლობისათვის გამოყოფს ერთზე მეტ ორგანოს, ვალდებულია ზემოთ აღნიშნულ შეტყობინებაში განსაზღვროს თითოეული მათგანის კომპეტენციის სფერო.

3. ამა თუ იმ მხარის მიერ აღნიშნული მიზნისათვის გამოყოფილი ორგანო, მეორე მხარის მიერ გათვალისწინებული ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია:

ა) წარმოადგინოს ინფორმაცია თავისი ქვეყნის კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული პრაქტიკის შესახებ მონაცემთა დაცვის სფეროში;

ბ) ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად და კონფიდენციალურობის დაცვის მიზნის გათვალისწინებით, განახორციელოს ყველა საჭირო ღონისძიება საიმედო ინფორმაციის მიწოდებისათვის, რომელიც შეეხება ავტომატური დამუშავების ყოველ კონკრეტულ შემთხვევას, რასაც ადგილი აქვს მის ტერიტორიაზე, გარდა დამუშავების პროცესში მყოფი პერსონალური მონაცემებისა.

მუხლი 14. საზღვარგარეთ მცხოვრებ მონაცემთა სუბიექტების დახმარება

1. ყოველი მხარე ვალდებულია დახმარება აღმოუჩინოს საზღვარგარეთ მცხოვრებ ნებისმიერ პირს ადგილობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებაში, რომლებიც ეთანადება ამ კონვენციის მე-8 მუხლში აღნიშნულ პრინციპებთან.

2. იმ შემთხვევაში, თუ პირი ცხოვრობს სხვა მხარის ტერიტორიაზე, მას უნდა მიეცეს საკუთარი განაცხადის წარდგენის უფლება მისთვის დახმარების გაწევის თაობაზე იმ შუამავალი ორგანოს მეშვეობით, რომელსაც თანამშრომლობისთვის გამოყოფს ეს მხარე.

3. განაცხადი დახმარების გაწევის თაობაზე უნდა შეიცავდეს ყველა აუცილებელ დეტალს, რომელიც მათ შორის შეეხება:

ა) სახელს, მისამართს და განაცხადის წარმდგენი პირის სხვა მნიშვნელოვან მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას;

ბ) პერსონალური მონაცემების ავტომატიზირებულ ფაილს, რომელსაც ეკუთვნის განაცხადი ან ფაილის ადმინისტრატორს;

გ) განაცხადის მიზნებს.

მუხლი 15. დახმარების გარანტიები, რომელსაც გასწევენ შესაბამისი ორგანოები

1. ამა თუ იმ მხარის მიერ თანამშრომლობისათვის გამოყოფილ ორგანოს, რომელმაც მიიღო ინფორმაცია განაცხადის დამატების ან თანამშრომლობისათვის გამოყოფილი ორგანოს მხრიდან პასუხის სახით დახმარების გაწევის შესახებ მის განაცხადზე, არ აქვს ამ ინფორმაციის გამოყენების უფლება იმ მიზნებისთვის, რომლებიც განსხვავდება განაცხადში მითითებული მიზნებისაგან.

2. ყოველი მხარე იძლევა გარანტიას, რომ ყველა პირი, რომელიც მიეკუთვნება თანამშრომლობისათვის გათვალისწინებულ ორგანოს ან მოქმედებს მათი სახელით, ვალდებული იქნება დაიცვას საიდუმლოება ან კონფიდენციალურობა ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

3. თანამშრომლობისათვის გამოყოფილ ორგანოებს, მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უფლება არ აქვთ დამოუკიდებლად და პირის სპეციალური თანხმობის გარეშე წარადგინონ განაცხადი მონაცემთა სუბიექტის სახელით, რომელიც ცხოვრობს საზღვარგარეთ.

მუხლი 16. უარი განაცხადზე თანამშრომლობის გაწევის შესახებ

თანამშრომლობისათვის გამოყოფილ ორგანოს, რომლის სახელზეც არის გაგზავნილი განაცხადი დახმარების გაწევის შესახებ, წინამდებარე კონვენციის მე-13 და მე-14 მუხლების თანახმად, უფლება არ აქვს უარი თქვას მის შესრულებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა:

ა) განაცხადი არ შეესაბამება მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანოების უფლებამოსილებას მონაცემთა დაცვის სფეროში;

ბ) განაცხადი არ შეესაბამება კონვენციის დებულებებს;

გ) თუ განაცხადის შესრულება შეუთავსებელი იქნებოდა იმ მხარის სუვერენიტეტთან, უსაფრთხოებასა და სახელმწიფო პოლიტიკასთან (*ordre public*), რომელმაც თანამშრომლობისათვის გამოყო მოცემული ორგანო, ასევე ამ ქვეყნის იურისდიქციაში მყოფი პირების უფლებებსა და თავისუფლებებთან.

მუხლი 17. დახმარების გაწევის წესი და ღირებულება

1. მხარეთა მიერ მე-13 მუხლის თანახმად, ერთმანეთისათვის გაწეულმა დახმარებამ და მე-14 მუხლის თანახმად, საზღვარგარეთ მყოფი სუბიექტების მხარდაჭერამ არ უნდა გამოიწვიოს მომსახურების ღირებულების ზრდა და სხვა ხარჯების საფასურის

ამოღება, გარდა ექსპერტთა გასამრჯელოებისა და მთარგმნელთა ანაზღაურებისა. გასამრჯელოებისა და ანაზღაურებისთვის საჭირო დანახარჯებს იხდის მხარე, რომელმაც თანამშრომლობისათვის გამოყო დახმარების გაწევის შესახებ განაცხადის წარმდგენი ორგანო.

2. დაუშვებელია მონაცემთა სუბიექტს წარედგინოს მოთხოვნა იმ მომსახურებისა და გასამრჯელოს ანაზღაურების შესახებ, რომელიც განხორციელდა მისი სახელით სხვა მხარის ტერიტორიაზე და განსხვავდება ამ ქვეყნის მცხოვრებთა მხრიდან ანაზღაურებადი ღონისძიებებისაგან.

3. დახმარებასთან, კერძოდ მისი გაწევის წესთან და ფორმებთან, აგრეთვე შესაძლო გამოსაყენებელ ენებთან დაკავშირებული სხვა დეტალები უნდა დადგინდეს უშუალოდ მონაწილე მხარეების მიერ.

თავი V საკონსულტაციო ორგანო

მუხლი 18. კომიტეტის შემადგენლობა

1. საკონსულტაციო ორგანოს დაფუძნება ხდება წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ.

2. ყოველი მხარე კომიტეტში წარადგენს თავის წარმომადგენელს და მის მოადგილეს. ნებისმიერ სახელმწიფოს – ევროპის საბჭოს წევრს, რომელიც არ წარმოადგენს მხარეს, უფლება აქვს კომიტეტში წარმომადგენელი იყოს თავისი დამკვირვებლით.

3. საკონსტიტუციო ორგანო, საკუთარი ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით, უფლებამოსილია კონკრეტულ სხდომაზე დამკვირვებლის სახით მოიწვიოს ევროპის საბჭოს წევრი ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც არ წარმოადგენს მხარეს.

მუხლი 19. კომიტეტის ფუნქციები

1. საკონსულტაციო კომიტეტი უფლებამოსილია:

ა) წარმოადგინოს წინადადებები, რომლებიც მიმართულია წინამდებარე კონვენციის გამოყენების ხელშეწყობისა და გაუმჯობესებისაკენ;

ბ) 21-ე მუხლის თანახმად, წარმოადგინოს წინადადებები წინამდებარე კონვენციაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

გ) ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრება წინამდებარე კონვენციაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებულ ნებისმიერ წინადადებასთან მიმართებით, რომელიც განიხილება 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად;

დ) მხარეთა მოთხოვნისამებრ, გამოხატოს საკუთარი აზრი წინამდებარე კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის ირგვლივ.

მუხლი 20. საქმიანობის წესი

1. საკონსულტაციო კომიტეტი მოიწვევა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ. კომიტეტის პირველი სხდომა უნდა გაიმართოს წინამდებარე

კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან 12 თვის განმავლობაში. შემდგომში, კომიტეტის სხდომები უნდა ჩატარდეს არა ნაკლებ 2 წელიწადში ერთხელ, ასევე ნებისმიერ დროს კომიტეტის მოწვევის მოთხოვნისთანავე, რომელსაც მხარს უჭერს მხარეთა წარმომადგენლების ერთი მესამედი.

2. მხარეთა წარმომადგენლების უმრავლესობამ უნდა შეადგინოს კვორუმი, რომელიც აუცილებელია საკონსულტაციო კომიტეტის სხდომის ჩატარებისათვის.

3. ყოველი სხდომის შემდეგ, საკონსულტაციო კომიტეტმა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს უნდა წარუდგინოს მოხსენება საკუთარი საქმიანობისა და კონვენციის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

4. კონვენციის დებულებათა შესაბამისად, საკონსულტაციო კომიტეტმა უნდა შეიმუშაოს საკუთარი საქმიანობის რეგლამენტი.

თავი VI ცვლილებები

მუხლი 21. ცვლილებები

1. ამ კონვენციაში ცვლილებების შესახებ წინადადებების წარმოდგენა შეუძლიათ მონაწილე მხარეებს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს ან საკონსულტაციო კომიტეტს.

2. კონვენციაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებული ნებისმიერი წინადადება ევროპის

საბჭოს გენერალურმა მდივანმა უნდა შეატყობინოს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, ასევე ყოველ სახელმწიფოს, რომელიც არ არის ევროპის საბჭოს წევრი, მაგრამ უკვე შეუერთდა ან მიიღო ამ კონვენციასთან შეერთების წინადადება 23-ე მუხლის დებულების თანახმად.

3. უფრო მეტიც, მინისტრთა კომიტეტის ან მხარეთა მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი წინადადება უნდა გადაეცეს საკონსულტაციო კომიტეტს, რომელმაც მინისტრთა კომიტეტს უნდა წარუდგინოს საკუთარი დასკვნა შემოთავაზებულ ცვლილებებთან დაკავშირებით.

4. მინისტრთა კომიტეტმა უნდა განიხილოს შემოთავაზებული ცვლილება, ასევე საკონსულტაციო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი მოსაზრება. იგი უფლებამოსილია მხარი დაუჭიროს მოცემულ ცვლილებას.

5. მინისტრთა კომიტეტის მიერ მოწონებული ცვლილების ტექსტი, მოცემული მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მისაღებად წარედგინებათ მხარეებს.

6. ნებისმიერი ცვლილება, რომელიც მოწონებულია მოცემული მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ძალაშია მხარეთა მიერ ამ ცვლილებების მიღების შესახებ გენერალური მდივნის ინფორმირებიდან 30-ე დღეს.

თავი VII დასკვნითი დებულებები

მუხლი 22. ძალაში შესვლა

1. წინამდებარე კონვენციაზე ხელმოწერა თავისუფალია ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის. იგი ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან თანხმობას. დოკუმენტები რატიფიკაციის, მიღების ან თანხმობის შესახებ დეპონირდება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ.

2. წინამდებარე კონვენცია ძალაშია იმ სამთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველი დღიდან, რომელიც გამოითვლება იმ დროიდან, როცა ევროპის საბჭოს წევრმა ხუთმა სახელმწიფომ, წინა პუნქტის დებულებათა შესაბამისად, განაცხადა თანხმობა ამ კონვენციასთან შეერთების თაობაზე.

3. ნებისმიერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის, რომელიც მოგვიანებით გამოთქვამს თანხმობას წინამდებარე კონვენციასთან შეერთების შესახებ, ეს უკანასკნელი ძალაში შედის იმ სამთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველი დღიდან, რომელიც გამოითვლება რატიფიკაციის, მიღების ან თანხმობის გამოხატვის შესახებ დოკუმენტის დეპონირების დროიდან.

მუხლი 33. იმ სახელმწიფოთა შეერთება, რომლებიც არ არიან ევროპის საბჭოს წევრები

1. წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, ხმათა

უმრავლესობით, ევროპის საბჭოს შესახებ დებულების მე-20 მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად და მომლაპარაკებელი მხარეების წარმომადგენელთა ერთხმა გადაწყვეტილებით, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მონაწილეობა მიიღონ კომიტეტის სხდომებში, უფლება აქვს ამ კონვენციასთან შეერთებისათვის მოიწვიოს ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც არ არის ევროპის საბჭოს წევრი.

2. ნებისმიერ სახელმწიფოსთან მიმართებით, რომელიც შეუერთდება ამ კონვენციას, ეს უკანასკნელი ძალაში შედის იმ სამთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველი დღიდან, რომელიც გამოითვლება ევროპული საბჭოს გენერალური მდივნის მიერ შეერთების შესახებ დოკუმენტის დეპონირების დროიდან.

მუხლი 24. ტერიტორიული საზღვრები

1. ნებისმიერ სახელმწიფოს, ხელმოწერის ან რატიფიკაციის, მიღების, თანხმობის ან შეერთების შესახებ თავისი დოკუმენტების დეპონირებისას, უფლება აქვს დათქვას ტერიტორიის ან ტერიტორიათა საკითხი, რომელთან მიმართებაშიც გამოიყენება წინამდებარე კონვენცია.

2. ნებისმიერ სახელმწიფოს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე დეკლარაციის გაგზავნის გზით, უფლება აქვს ნებისმიერ სხვა დროს გაავრცელოს წინამდებარე კონვენციის მოქმედება ამ დეკლარაციაში განსაზღვრულ ნებისმიერ ტერიტორიაზე. ამ ტერიტორიასთან მიმართებით, წინამდებარე კონვენცია

ძალაში შედის იმ სამთვლიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველი დღიდან, რომელიც გამოითვლება გენერალური მდივნის მიერ ამ დეკლარაციის მიღების დროიდან.

3. წინა ორი პუნქტის თანახმად, წარდგენილი ნებისმიერი დეკლარაცია, რომელიც შეეხება დეკლარაციაში განსაზღვრულ ნებისმიერ ტერიტორიას, შეიძლება უკან იქნას გამოთხოვილი გენერალური მდივნის სახელზე შეტყობინების გაგზავნის გზით. უკან გამოთხოვა ძალაში შედის იმ ექვსთვლიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველი დღიდან, რომელიც გამოითვლება გენერალური მდივნის მიერ ამგვარი შეტყობინების მიღების დროიდან.

მუხლი 25. წინასწარი პირობები

დაუშვებელია წინასწარი პირობების წამოყენება წინამდებარე კონვენციის დებულებათა მიმართ.

მუხლი 26. დენონსირება

1. ნებისმიერი მხარე ნებისმიერ დროს უფლებამოსილია მოახდინოს წინამდებარე კონვენციის დენონსირება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე შეტყობინების გაგზავნის გზით.

2. დენონსაცია ძალაში შედის იმ ექვსთვლიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველი დღიდან, რომელიც გამოითვლება გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების დროიდან.

მუხლი 27. შეტყობინება

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ვალდებულია ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებსა და იმ სახელმწიფოებს, რომლებიც შეუერთდნენ წინამდებარე კონვენციას, შეატყობინოს შემდეგი:

- ა) ყოველი ახალი ხელმოწერის შესახებ;
- ბ) რატიფიკაციის, მიღების, თანხმობის ან შეერთების შესახებ აქტების დეპონირების შესახებ;
- გ) წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის შესახებ 22-ე 23-ე და 24-ე მუხლების თანახმად;
- დ) წინამდებარე კონვენციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ქმედების, შეტყობინების ან ცნობის შესახებ. რის დასადასტურებლადაც, ქვემოთ ხელისმომწერებმა, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი უფლებამოსილება, ხელი მოაწერეს წინამდებარე კონვენციას.

შედგენილია სტრასბურგში, 1981 წლის 28 იანვარს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ორივე ტექსტს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა, თითოეული მათგანი შესრულებულია ერთ ეგზემპლარად და დეპონირდება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დადასტურებულ ასლებს გადასცემს ევროპის საბჭოს წევრ ყოველ ქვეყანას და თითოეულ სახელმწიფოს, რომლებმაც მიიღეს წინამდებარე კონვენციასთან შეერთების წინადადება.

რატიფიცირებულია საქართველოს მიერ

ევროპის საბჭო

ევროპის იუსტიციის მინისტრთა 21-ე კონფერენციის რეზოლუცია №1

(პრაღა, 1997 წლის 10-11 ივნისი)

მე-19 შეხვედრის შემდეგ (ვალეტა, 1994), რომელზეც წამოწყებულ იქნა საქმიანობა კორუფციის წინააღმდეგ ევროპის საბჭოში, მინისტრებმა მათ 21-ე შეხვედრაზე (პრაღა, 1997) განიხილეს ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაფართოების საკითხი. რეზოლუცია მოუწოდებს საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების ადაპტაციისაკენ ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის დასამარცხებლად და ახალი ინსტრუმენტების შემუშავებისაკენ, როგორცაა სისხლის სამართლის კონვენცია კორუფციის შესახებ და კონვენცია კიბერსივრცეში დანაშაულის შესახებ. ამასთან, რეზოლუციის რეკომენდაციით, უნდა შეიქმნას შესაბამისი სტრუქტურები მომავალი კონვენციის ფარგლებში სახელმწიფოების ქმედებების მონიტორინგისათვის.

**რეზოლუცია №1 კორუფციასა და ორგანიზებულ
დანაშაულს
შორის არსებული კავშირების შესახებ**

1. ევროპის იუსტიციის მინისტრთა 21-ე კონფერენციის (პრავა, 1997) მონაწილე მინისტრები;

2. შეისწავლეს რა ჩეხეთის იუსტიციის მინისტრის მიერ წარმოდგენილი ანგარიში კორუფციასა და ორგანიზებულ დანაშაულს შორის არსებული კავშირების შესახებ და უნგრეთის იუსტიციის მინისტრის თანმხლები ანგარიში;

3. აცნობიერებენ რა თანამედროვე დანაშაულებრივ სამყაროში არსებულ ტენდენციებს და კერძოდ, ცალკეული დანაშაულებრივი საქმიანობის ორგანიზებულ, დახვეწილ და ტრანსნაციონალურ ხასიათს;

4. აქედან გამომდინარე, დარწმუნებულნი არიან რა, რომ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებლად უნდა გულისხმობდეს ადეკვატურ რეაგირებას კორუფციაზე;

5. ხაზს უსვავენ რა, რომ კორუფცია წარმოადგენს მნიშვნელოვან საფრთხეს კანონის უზენაესობისათვის, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, სამართლიანობისა და სოციალური სამართლიანობისათვის, აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას და საფრთხეს უქმნის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და საზოგადოების მორალური საფუძვლების სტაბილურობას;

6. დარწმუნებულნი არიან რა, რომ კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის დამარცხებისათვის წარმატებული სტრატეგია მოითხოვს სახელმწიფოების მყარ მზადყოფნას გააერთიანონ ძალისხმევა, გაიზიარონ გამოცდილება და ერთობლივად იმოქმედონ;

7. აღიარებენ რა, რომ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და ეთიკური ღირებულებების მხარდაჭერა, კერძოდ საგანმანათლებლო საქმიანობით, ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის პრევენციისათვის;

8. მიესალმებიან რა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ, 1996 წლის ნოემბერში, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამის მიღებას, რაც ევროპის იუსტიციის მინისტრთა მე-19 კონფერენციის (ვალეტა, 1994) რეკომენდაციების თანახმად განხორციელდა;

9. ამ თვალსაზრისით აღიარებენ რა ევროპის საბჭოს კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საქმიანობაში არა წევრი სახელმწიფოების მონაწილეობას და მიესალმებიან მათ მნიშვნელოვან წვლილს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამის განხორციელებაში;

10. აცნობიერებენ რა, რომ ევროპის საბჭოს სახელმწიფოების მეთაურები და მთავრობა ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის საკითხს განიხილავენ მათ მეორე სამიტზე, რომელიც 1997 წლის 10 და 11 ოქტომბერს სტრასბურგში გაიმართება, რადგან ეს პრობლემა საფრთხეს უქმნის დემოკრატიის სტაბილურობასა და უსაფრთხოებას ეროპაში.

ევროპის საბჭო

**ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის
რეკომენდაცია № R(89) 9 წევრი სახელმწიფოების
მიმართ კომპიუტერული დანაშაულის შესახებ**

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1998 წლის 13
სექტემბერს მინისტრთა მოადგილეების 428-ე
შეხვედრაზე)

ევროპის საბჭოს წესდების მე-15.ბ მუხლის პირობების შესაბამისად, მინისტრთა კომიტეტი ითვალისწინებს რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანს მის წევრებს შორის მეტი ერთიანობის მიღწევა წარმოადგენს,

აღიარებს რა კომპიუტერული დანაშაულის სახით ახალი გამოწვევისადმი ადეკვატური და სწრაფი რეაგირების მნიშვნელობას;

ითვალისწინებს რა, რომ კომპიუტერული დანაშაული ხშირად საზღვართშორისი ხასიათისაა;

აცნობიერებს რა კანონისა და პრაქტიკის ჰარმონიზაციის და საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გაუმჯობესების აუცილებას, წევრი სახელმწიფოების მთავრობებს უწევს რეკომენდაციას, რომ:

1. მათი კანონმდებლობის გადახედვისას ან ახალი კანონმდებლობის ინიცირებისას, გაითვალისწინონ ევროპის დანაშაულის პრობლემების კომიტეტის მიერ შემუშავებული კომპიუტერული დანაშაულის შესახებ ანგარიში და კერძოდ, გაიდლაინები ეროვნული საკანონმდებლო ხელისუფლებისათვის;

2. გაითვალისწინონ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე 1993 წლის პერიოდისათვის კომპიუტერულ დანაშაულთან მიმართებით მათ კანონმდებლობაში, სამოსამართლო პრაქტიკასა და

საერთაშორისო სამართლებრივ თანამშრომლობაში და
გამოცდილებაში განვითარებული მოვლენების შესახებ.

ევროპის საბჭო

**ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის
რეკომენდაცია № R (85)10 წვერი სახელმწიფოების
მიმართ სატელეკომუნიკაციო ინფორმაციის მოხსნის
შესახებ სასამართლოს დავალებასთან მიმართებით
სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების
შესახებ ევროპული კონვენციის პრაქტიკული
გამოყენების შესახებ**

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1985 წლის 28
ივნისს მინისტრთა მოადგილეების 387-ე შეხვედრაზე)

ევროპის საბჭოს წესდების მე-15.ბ მუხლის პირობების
შესაბამისად, მინისტრთა კომიტეტი ითვალისწინებს რა,
რომ შეიძლება აუცილებელი გახდეს
სატელეკომუნიკაციო ინფორმაციის მოხსნა, მათ შორის
ტელეფონების, ტელეპრინტერების და ელექტრო
ასლგადამღები მოწყობილობების საშუალებით, სისხლის
სამართლის დანაშაულების გამოძიების მიზნით; ხაზს
უსვამს რა პირის უსამართლო ჩარევისაგან დაცვის
აუცილებლობას; აღიარებს რა საერთაშორისო
ურთიერთდახმარების მნიშვნელობას, კერძოდ,
საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში;
ითვალისწინებს რა ევროპის კონვენციას სისხლის
სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ;

სურს რა აღნიშნული კონვენციის პრაქტიკული გამოყენების ფასილიტაცია⁶; ითვალისწინებს რა, რომ სატელეკომუნიკაციო ინფორმაციის მოხსნის შესახებ სასამართლო დავალების სპეციფიური ხასიათიდან გამომდინარე აუცილებელია დეტალური რეგულირება, კერძოდ აღნიშნულის განხორციელების მეთოდთან, მოხსნის შედეგად მიღებული ჩანაწერების გადაცემასთან და ამ ჩანაწერების მომთხოვნ სახელმწიფოში გამოყენებასთან მიმართებით; სურს რა ამ მიმართებით მითითებები მისცეს ხელშემკვრელ მხარეებს კონვენციის ერთგვარი გამოყენების ხელშეწყობის და ეროვნული სასამართლოების მიერ გამოცემული ორდერებისა და მათ მიერ სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოებში, კონვენციის შესაბამისად, გაცემული დავალების თანასწორად განხილვის შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფის მიზნით,

I. გასცემს რეკომენდაციას, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ ევროპული კონვენციის მხარე, წევრი სახელმწიფოების, მთავრობებმა აღნიშნული კონვენციის პრაქტიკული გამოყენებისას იხელმძღვანელონ წინამდებარე რეკომენდაციის დანართებით;

II. მითითებას აძლევს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, გადასცეს წინამდებარე რეკომენდაცია აღნიშნული ხელშემკვრელი მხარეების მთავრობებს, რომლებიც ევროპის საბჭოს წევრები არ არიან.

⁶ ფასილიტაცია - ნებისმიერი პროცესის არადირექტიულად, სამართლიანად, კუმანისტურ ფასეულობებზე დაფუძნებულად წარმართვის უზრუნველყოფა.

რეკომენდაციის №R (85) 10 დანართი

სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ ევროპული კონვენციის (შემდეგში ხსენებული, როგორც “კონვენცია”) დებულებების შესაბამისად და მათ მიუკერძოებლად, ქვემოთ მოცემული წესები ვრცელდება სატელეკომუნიკაციო ინფორმაციის მოხსნის შესახებ ე.ი. ტელეფონებით, ტელეპრინტერებით, ასლგადამღები მოწყობილობებით და სხვა მსგავსი საშუალებებით გადაცემული შეტყობინებების მოხსნასა და შესაბამისი ჩანაწერების გადაცემის შესახებ სასამართლო დავალებებზე. ეს წესები განსაზღვრულია ხელშემკვრელი მხარეების ხელშესაწყობად, რათა მათ შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები ამგვარ სასამართლო დავალებებთან მიმართებით.

1. ამგვარი დავალებების აღსრულებაზე უარი დასაშვებია, მხოლოდ შემდეგი მიზეზებით:

ა) თუ მოპასუხე მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, დანაშაულის ბუნება ან ხარისხი ან იმ პირის სტატუსი, რომლის სატელეკომუნიკაციო ინფორმაციის გამოთხოვა ხდება, მოხსნას დაუშვებელს ხდის;

ბ) თუ, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ინფორმაციის მოხსნა გაუმართლებელია მომთხოვნი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც სახელმწიფოში სატელეკომუნიკაციო ინფორმაციის მოხსნას არეგულირებს;

2. გარდა კონვენციის მე-14 მუხლში მოცემული მითითებებისა, დახმარების თხოვნა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) მოხსნისათვის განკუთვნილი სატელეკომუნიკაციო ინფორმაციის რაც შეიძლება დეტალური აღწერა;

ბ) განმარტება იმისა, თუ რატომ არ შეიძლება თხოვნის მიზნის გამოძიების სხვა საშუალებებით მიღწევა;

გ) მითითება, რომ მოხსნა ავტორიზებულია მომთხოვნი მხარის უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

დ) მითითება, თუ რა ვადის განმავლობაში ხდება მოხსნის განხორციელება.

3. თუ პერიოდი, რომელზეც მხარე მოხსნის განხორციელებას ითხოვს, აღემატება ვადას, რომელზეც გამოცემულია ან შეიძლება გამოცემულ იქნას ბრძანება, მოპასუხე მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნულმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მომთხოვნ მხარეს ამის შესახებ და მიუთითოს არსებული შესაძლებლობები აღნიშნული პერიოდის გახანგრძლივებისათვის, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. მოპასუხე მხარეს შეუძლია ადასრულოს სასამართლოს დავალება ქვემოთ მოცემული ერთი ან რამდენიმე პირობით:

ა. რომ, მოპასუხე მხარის სასამართლოს შეუძლია გაანადგუროს ჩანაწერების ის ნაწილები, რომლებიც თხოვნის შინაარსიდან და მიზნიდან გამომდინარე, არ შეიძლება რელევანტური იყოს სისხლისსამართლებრივი წარმოებისათვის, რომელსაც თხოვნა შეეხება, მომთხოვნი მხარისათვის ჩანაწერების გადაცემამდე;

ბ. რომ, მომთხოვნი მხარის სასამართლო ვალდებულია რაც შეიძლება დროულად გაანადგუროს ჩანაწერების ის ნაწილები, რომლებიც არ შეიძლება რელევანტური იყოს სისხლისსამართლებრივი წარმოებისათვის, რომელსაც თხოვნა შეეხება და გადასცეს ჩანაწერების განადგურების შესახებ ანგარიშის ასლი მოპასუხე მხარეს;

გ. რომ, მას შემდეგ, რაც მოთხოვნილი ინფორმაციის მოხსნა განხორციელდა, მოპასუხე მხარის შესაბამისი უწყებები, ამ უკანასკნელის კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად, აღნიშნულის შესახებ შეატყობინებენ ტელეკომუნიკაციის აბონენტს, რომლის ინფორმაციის მოხსნაც განხორციელდა ან ნებისმიერ სხვა შესაბამის პირს;

დ. რომ, ინფორმაციის მოხსნის საშუალებით მოპოვებულ ჩანაწერებში არსებული მტკიცებულება მომთხოვნი მხარის მიერ გამოყენებულ არ იქნება სხვა მიზნებისათვის, გარდა სასამართლოს დავალებით განსაზღვრულისა, რომელთა მიმართებითაც დახმარება იქნა გაწეული.

5. თუ ჩანაწერებიდან ჩანს, რომ დანაშაული, რომელთან მიმართებით დახმარების თხოვნა განხორციელდა, სრულად ან ძირითადად მოპასუხე მხარის ტერიტორიაზე იქნა ჩადენილი, მომთხოვნმა მხარემ უნდა გაითვალისწინოს მოპასუხე მხარისათვის ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობა, კონვენციის 21-ე მუხლის შესაბამისად.

ევროპის საბჭო

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R(88)2 წევრი სახელმწიფოების მიმართ საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში მეკობრეობასთან ბრძოლის შესახებ

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1988 წლის 18
იანვარს მინისტრთა მოადგილეების 414-ე შეხვედრაზე)

ევროპის საბჭოს წესდების მე-15.ბ მუხლის პირობების შესაბამისად, მინისტრთა კომიტეტი ითვალისწინებს რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანს მის წევრებს შორის მეტი ერთიანობის მიღწევა წარმოადგენს იმ იდეალებისა და პრინციპების რეალიზაციისათვის, რომლებიც მათ საერთო მემკვიდრეობას წარმოადგენს და მათი ეკონომიკური და სოციალური პროგრესისათვის;

აცნობიერებს რა, რომ საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში მეკობრეობის ფენომენი ე.ი. დაცული ნაშრომების უნებართვო კოპირება, გავრცელება ან საზოგადოებისათვის გაცნობა, კომერციული მიზნებისათვის კონტრიბუცია⁷ და წარმოადგენს ფართოდ გავრცელდა;

აღნიშნავს რა, რომ ეს ფენომენი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რიგ სექტორებზე, მათ შორის

⁷ კონტრიბუცია [ლათ. contributio]- 1. ფულადი გადასახადი, რომელსაც ომში გამარჯვებული მხარე დამარცხებულს აკისრებს საზავო ხელშეკრულების ძალით. 2.ომის დროს: ფულადი თუ ნატურალური გადასახადი, რომელსაც ახდევინებს მტერი მის მიერ დაპყრობილი ტერიტორიის მოსახლეობას.

ფონოგრამების, კინოფილმების, ვიდეოგრამების, გადაცემების, ბეჭდვითი მასალის და კომპიუტერული პროგრამების წარმოებასა და მარკეტინგზე;

აცნობიერებს რა, მეკობრეობით გამოწვეული ავტორების, შემსრულებლების, პროდიუსერების და მაუწყებლების ისევე, როგორც შემოქმედებითი პროფესიებისათვის და ზოგადად მსგავსი ინდუსტრიების უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებულ მნიშვნელოვან ზიანს;

აღიარებს რა, რომ აღნიშნული ფენომენი ასევე უარყოფითად მოქმედებს მომხმარებლის უფლებებზე, კერძოდ რადგან ის ხელს უშლის კულტურულ შემოქმედებას და ამგვარად უარყოფით გავლენას ახდენს ბაზარზე არსებული პროდუქციის როგორც მრავალფეროვნებაზე, ისე ხარისხზე.

ითვალისწინებს რა, ეროვნული ბიუჯეტების მიერ მეკობრეობის შედეგად განცდილ ზარალს;

ითვალისწინებს რა მეკობრეობის სხვადასხვაგვარ გავლენას ვაჭრობაზე;

ხაზს უსვამს რა მეკობრეული მასალით ვაჭრობასა და ორგანიზებულ დანაშაულს შორის კავშირს;

ითვალისწინებს რა 1986 წლის 22 მაისის რეკომენდაციას №R(86)9 საავტორო უფლებისა და კულტურული პოლიტიკის შეახებ;

მიესალმება რა მეკობრეობასთან ბრძოლისათვის საქმიანობას, რომელიც ხორციელდება სხვა ორგანიზაციების ფარგლებში, კერძოდ მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაცია, ევროპის თანამეგობრობები და საბაჟო თანამშრომლობის საბჭო;

დარწმუნებულია რა, რომ აუცილებელია მეკობრეობის წინააღმდეგ ეფექტური ზომების მიღება როგორც შესაბამისი ღონისძიებების გატარების გზით ეროვნულ დონეზე, ისე თანამშრომლობის გზით საერთაშორისო დონეზე, გასცემს რეკომენდაციას, რომ წევრი სახელმწიფოების მთავრობებმა გადადგან ყველა საჭირო ნაბიჯი მეკობრეობის დასამარცხებლად შემდეგი ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში:

უფლებების აღიარება

1. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ავტორებს, შემსრულებლებს, მწარმოებლებსა და მაუწყებლებს ჰქონდეთ ადეკვატური უფლებები მათ ნაშრომებთან, კონტრიბუციებთან და შესრულებასთან მიმართებით, რათა დაიცვან თავიანთი უფლებები მეკობრეობის წინააღმდეგ, კერძოდ:

- თუ ასეთი უფლებები ამ დრომდე არ არსებობს, შემსრულებლებს, როგორც მინიმუმ, უნდა მიენიჭოთ უფლება დაუშვან ან აკრძალონ თავიანთი ჩაუწერელი შესრულების ჩაწერა ისევე, როგორც მათი შესრულების ჩანაწერის რეპროდუქცია, ხოლო ფონო და ვიდეოგრამების მწარმოებლებს კი – უფლება დაუშვან ან აკრძალონ მათი ფონო და ვიდეოგრამების რეპროდუქცია.

- კომპიუტერული პროგრამების ავტორები უნდა სარგებლობდნენ საავტორო უფლებების დაცვით.

საშუალებები და სანქციები

2. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი ეროვნული კანონმდებლობა ადგენდეს საშუალებებს, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი იქნება სწრაფი და ეფექტური რეაგირება მეკობრეობაში ჩართული პირების წინააღმდეგ საავტორი და მომიჯნავე უფლებების სფეროში, მათ შორის იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც ჩართულნი არიან მეკობრეული ნაწარმის იმპორტსა და დისტრიბუციაში.

3. სისხლის სამართლის შესაბამისად, გათვალისწინებულ უნდა იქნას სამეკობრეო საქმიანობაში გონივრულად ეჭვიმტანილი პირების ფართის ჩხრეკის და გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ყველა ნაპოვნი მასალის ამოღების, მათ შორის ასლების და მათი დამზადების საშუალებების განადგურების უფლებამოსილება. ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნას აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული ფინანსური სარგებელის კონფისკაციის უფლებამოსილების მინიჭების შესაძლებლობა.

გამამტყუნებელი განაჩენის დადგომის შემთხვევაში, უნდა არსებობდეს სამართალწარმოების პროცესში ამოღებული უკანონო ასლების და ასლების საწარმოებელი საშუალებების განადგურების ან ჩამორთმევის უფლებამოსილება. ასევე, შესაძლებელი უნდა იყოს მეკობრეული საქმიანობიდან მიღებული ფინანსური სარგებელის კონფისკაცია. შესაძლებელი უნდა იყოს კონფისკაციას დაქვემდებარებული ფინანსური საშუალებების სრულად ან ნაწილობრივ

დაზარალებული მხარისათვის გადაცემა მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.

მეკობრეობასთან დაკავშირებულ დანაშაულთან მიმართებით კანონმდებლობით დადგენილი სასჯელი გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისად მაღალ დონეზე.

4. სამოქალაქო სამართლის სფეროში უნდა არსებობდეს ეფექტური საშუალებები მტკიცებულებების მოსაპოვებლად მეკობრეობასთან დაკავშირებულ საქმეებში. მოსარჩელეს უნდა ჰქონდეს უფლება დააყენოს პრეტენზია სამეკობრეო საქმიანობიდან მიღებულ მოგებაზე მის მიერ განცდილი ზარალისათვის სარჩელის შეტანის სანაცვლოდ.

გათვალისწინებულ უნდა იქნას სამართალწარმოების პროცესში ამოღებული უკანონო ასლების და ასლების საწარმოებელი საშუალებების განადგურება ან მათი მოსარჩელისათვის გადაცემა.

5. გათვალისწინებულ უნდა იქნას საავტორო და მომიჯნავე უფლებების არსებობის და საკუთრების პრეზუმფციების დანერგვის ან გამლიერების აუცილებლობა.

6. სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ თავიანთი საბაჟო ორგანოების მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლაში უფრო აქტიურად ჩართვის და ამ ორგანოებისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესაძლებლობა *inter alia* საიმპორტო ან ტრანზიტული მეკობრეული ნაწარმის ყოველგვარი ფორმა მიიჩნიოს აკრძალულ საქონლად.

თანამშრომლობა საჯარო დაწესებულებებს, ასეთ ორგანოებსა და უფლების მესაკუთრეებს შორის.

7. სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ თანამშრომლობას პოლიციასა და საბაჟო ორგანოებს შორის ეროვნულ დონეზე მეკობრეობასთან ბრძოლაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში ისევე, როგორც აღნიშნული უწყებების თანამშრომლობას უფლების მესაკუთრებთან.

8. ამავე დროს, სახელმწიფომ შესაბამის ფორუმებში ხელი უნდა შეუწყოს თანამშრომლობას სხვადასხვა ქვეყნების პოლიციასა და საბაჟო ორგანოებს შორის მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

თანამშრომლობა წევრ სახელმწიფოებს შორის

9. სახელმწიფოებმა ერთმანეთს სრული ინფორმაცია უნდა მიაწოდონ იმ ინიციატივების შესახებ, რომლებიც ხორციელდება მეკობრეობის წინააღმდეგ საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში.

10. სახელმწიფოებმა ერთმანეთს უნდა შესთავაზონ ურთიერთდახმარება ამგვარ ინიციატივებთან მიმართებით და სურვილისამებრ გაითვალისწინონ შესაბამისი არხებით ერთობლივი საქმიანობის წარმოება.

საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება

11. სახელმწიფოებმა ყურადღებით უნდა გადააფასონ შემდეგ ხელშეკრულებებზე მიერთება, თუ მათ ეს ჯერ არ განუხორციელებიათ:

- პარიზის აქტი (1971) ლიტერატურული და სამხატვრო შემოქმედების დაცვის ბერნის კონვენციის ვერსია;

- შემსრულებლების, ფონოგრამების მწარმოებლებისა და მაუწყებელი ორგანიზაციების დაცვის კონვენცია (რომი, 1961);

- ფონოგრამების უნებართვო კომპირებისაგან ფონოგრამების მწარმოებელთა დაცვის კონვენცია (ჟენევა, 1971);

- ევროპის შეთანხმება ტელემაუწყებლების დაცვის შესახებ (სტრასბურგი, 1960) და მისი ოქმები.

12. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ზემოაღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებასთან დაკავშირებით მიღებული ეროვნული ღონისძიებები სრულად ითვალისწინებდნენ შესაბამის ტექნოლოგიურ სიახლეებს.

საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

№215 2008 წლის 28 მარტი ქ. თბილისი

„კიბერდამნაშავეობის შესახებ“ კონვენციის
ხელმოწერის თაობაზე

ხელი მოეწეროს „კიბერდამნაშავეობის შესახებ“
კონვენციას.⁸

მიხეილ სააკაშვილი

8 იხ.: საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 28 მარტის განკარგულება
№215, კიბერდამნაშავეობის შესახებ კონვენციის ხელმოწერის თაობაზე.

**EUROPEAN CONVENTION ON CYBERCRIME
AND
SEVERAL INTERNATIONAL DOCUMENTS ABOUT IT**

(In Georgian and English languages)

CONVENTION ON CYBERCRIME

Preamble

The member States of the Council of Europe and the other States signatory hereto,

Considering that the aim of the Council of Europe is to achieve a greater unity between its members;

Recognising the value of fostering co-operation with the other States parties to this Convention;

Convinced of the need to pursue, as a matter of priority, a common criminal policy aimed at the protection of society against cybercrime, *inter alia*, by adopting appropriate legislation and fostering international co-operation;

Conscious of the profound changes brought about by the digitalisation, convergence and continuing globalisation of computer networks;

Concerned by the risk that computer networks and electronic information may also be used for committing criminal offences and that evidence relating to such offences may be stored and transferred by these networks;

Recognising the need for co-operation between States and private industry in combating cybercrime and the need to protect legitimate interests in the use and development of information technologies;

Believing that an effective fight against cybercrime requires increased, rapid and well-functioning international co-operation in criminal matters;

Convinced that the present Convention is necessary to deter action directed against the confidentiality, integrity and availability of computer systems, networks and computer data as well as the misuse of such systems, networks and data by providing for the criminalisation of such conduct, as described in this Convention, and the adoption of powers sufficient for effectively combating such criminal offences, by facilitating their detection, investigation and prosecution at both the domestic and international levels and by providing arrangements for fast and reliable international co-operation;

Mindful of the need to ensure a proper balance between the interests of law enforcement and respect for fundamental human rights as enshrined in the 1950 Council of Europe Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, the 1966 United Nations International Covenant on Civil and Political Rights and other applicable international human rights treaties, which reaffirm the right of everyone to hold opinions without interference, as well as the right to freedom of expression, including the freedom to seek, receive, and impart information and ideas of all kinds, regardless of frontiers, and the rights concerning the respect for privacy;

Mindful also of the right to the protection of personal data, as conferred, for example, by the 1981 Council of Europe Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data;

Considering the 1989 United Nations Convention on the Rights of the Child and the 1999 International Labour Organization Worst Forms of Child Labour Convention;

Taking into account the existing Council of Europe conventions on co-operation in the penal field, as well as similar treaties which exist between Council of Europe member States and other States, and stressing that the present Convention is intended to supplement those conventions in order to make criminal investigations and proceedings concerning criminal offences related to computer systems and data more effective and to enable the collection of evidence in electronic form of a criminal offence;

Welcoming recent developments which further advance international understanding and co-operation in combating cybercrime, including action taken by the United Nations, the OECD, the European Union and the G8;

Recalling Committee of Ministers Recommendations No. R (85) 10 concerning the practical application of the European Convention on Mutual Assistance in Criminal Matters in respect of letters rogatory for the interception of telecommunications, No. R (88) 2 on piracy in the field of copyright and neighbouring rights, No. R (87) 15 regulating the use of personal data in the police sector, No. R (95) 4 on the protection of personal data in the area of telecommunication services, with particular reference to telephone services, as well as No. R (89) 9 on computer-related crime providing guidelines for national legislatures concerning the definition of certain computer crimes and No. R (95) 13 concerning problems of criminal procedural law connected with information technology;

Having regard to Resolution No. 1 adopted by the European Ministers of Justice at their 21st Conference (Prague, 10 and 11 June 1997), which recommended that the Committee of Ministers support the work on cybercrime carried out by

the European Committee on Crime Problems (CDPC) in order to bring domestic criminal law provisions closer to each other and enable the use of effective means of investigation into such offences, as well as to Resolution No. 3 adopted at the 23rd Conference of the European Ministers of Justice (London, 8 and 9 June 2000), which encouraged the negotiating parties to pursue their efforts with a view to finding appropriate solutions to enable the largest possible number of States to become parties to the Convention and acknowledged the need for a swift and efficient system of international co-operation, which duly takes into account the specific requirements of the fight against cybercrime;

Having also regard to the Action Plan adopted by the Heads of State and Government of the Council of Europe on the occasion of their Second Summit (Strasbourg, 10 and 11 October 1997), to seek common responses to the development of the new information technologies based on the standards and values of the Council of Europe;

Have agreed as follows:

Chapter I Use of terms

Article 1. Definitions

For the purposes of this Convention:

a. "computer system" means any device or a group of interconnected or related devices, one or more of which, pursuant to a program, performs automatic processing of data;

b. "computer data" means any representation of facts, information or concepts in a form suitable for processing in a computer system, including a program suitable to cause a computer system to perform a function;

c. "service provider" means:

I. any public or private entity that provides to users of its service the ability to communicate by means of a computer system, and

II. any other entity that processes or stores computer data on behalf of such communication service or users of such service;

d. "traffic data" means any computer data relating to a communication by means of a computer system, generated by a computer system that formed a part in the chain of communication, indicating the communication's origin, destination, route, time, date, size, duration, or type of underlying service.

Chapter II

Measures to be taken at the national level

Section 1

Substantive criminal law

Title 1
Offences against the confidentiality, integrity and
availability of computer data and systems

Article 2. Illegal access

Each Party shall adopt such legislative and other measures as may be necessary to establish as criminal offences under its domestic law, when committed intentionally, the access to the whole or any part of a computer system without right. A Party may require that the offence be committed by infringing security measures, with the intent of obtaining computer data or other dishonest intent, or in relation to a computer system that is connected to another computer system.

Article 3. Illegal interception

Each Party shall adopt such legislative and other measures as may be necessary to establish as criminal offences under its domestic law, when committed intentionally, the interception without right, made by technical means, of non-public transmissions of computer data to, from or within a computer system, including electromagnetic emissions from a computer system carrying such computer data. A Party may require that the offence be committed with dishonest intent, or in relation to a computer system that is connected to another computer system.

Article 4. Data interference

1. Each Party shall adopt such legislative and other measures as may be necessary to establish as criminal offences under its domestic law, when committed intentionally, the damaging, deletion, deterioration, alteration or suppression of computer data without right.

2. A Party may reserve the right to require that the conduct described in paragraph 1 result in serious harm.

Article 5. System interference

Each Party shall adopt such legislative and other measures as may be necessary to establish as criminal offences under its domestic law, when committed intentionally, the serious hindering without right of the functioning of a computer system by inputting, transmitting, damaging, deleting, deteriorating, altering or suppressing computer data.

Article 6. Misuse of devices

1. Each Party shall adopt such legislative and other measures as may be necessary to establish as criminal offences under its domestic law, when committed intentionally and without right:

a. the production, sale, procurement for use, import, distribution or otherwise making available of:

i. a device, including a computer program, designed or adapted primarily for the purpose of committing any of the

offences established in accordance with the above Articles 2 through 5;

ii. a computer password, access code, or similar data by which the whole or any part of a computer system is capable of being accessed, with intent that it be used for the purpose of committing any of the offences established in Articles 2 through 5; and

b. the possession of an item referred to in paragraphs a.i or ii above, with intent that it be used for the purpose of committing any of the offences established in Articles 2 through 5. A Party may require by law that a number of such items be possessed before criminal liability attaches.

2. This article shall not be interpreted as imposing criminal liability where the production, sale, procurement for use, import, distribution or otherwise making available or possession referred to in paragraph 1 of this article is not for the purpose of committing an offence established in accordance with Articles 2 through 5 of this Convention, such as for the authorised testing or protection of a computer system.

3. Each Party may reserve the right not to apply paragraph 1 of this article, provided that the reservation does not concern the sale, distribution or otherwise making available of the items referred to in paragraph 1 a.ii of this article.

Title 2

Computer-related offences

Article 7. Computer-related forgery

Each Party shall adopt such legislative and other measures as may be necessary to establish as criminal offences under its domestic law, when committed intentionally and without right, the input, alteration, deletion, or suppression of computer data, resulting in inauthentic data with the intent that it be considered or acted upon for legal purposes as if it were authentic, regardless whether or not the data is directly readable and intelligible. A Party may require an intent to defraud, or similar dishonest intent, before criminal liability attaches.

Article 8. Computer-related fraud

Each Party shall adopt such legislative and other measures as may be necessary to establish as criminal offences under its domestic law, when committed intentionally and without right, the causing of a loss of property to another person by:

a. any input, alteration, deletion or suppression of computer data;

b. any interference with the functioning of a computer system,

with fraudulent or dishonest intent of procuring, without right, an economic benefit for oneself or for another person.

Title 3

Content-related offences

Article 9. Offences related to child pornography

1. Each Party shall adopt such legislative and other measures as may be necessary to establish as criminal offences under its domestic law, when committed intentionally and without right, the following conduct:

- a. producing child pornography for the purpose of its distribution through a computer system;
- b. offering or making available child pornography through a computer system;
- c. distributing or transmitting child pornography through a computer system;
- d. procuring child pornography through a computer system for oneself or for another person;
- e. possessing child pornography in a computer system or on a computer-data storage medium.

2. For the purpose of paragraph 1 above, the term “child pornography” shall include pornographic material that visually depicts:

- a. a minor engaged in sexually explicit conduct;
- b. a person appearing to be a minor engaged in sexually explicit conduct;
- c. realistic images representing a minor engaged in sexually explicit conduct.

3. For the purpose of paragraph 2 above, the term “minor” shall include all persons under 18 years of age. A Party may, however, require a lower age-limit, which shall be not less than 16 years.

4. Each Party may reserve the right not to apply, in whole or in part, paragraphs 1, sub-paragraphs d. and e, and 2, sub-paragraphs b. and c.

Title 4

Offences related to infringements of copyright and related rights

Article 10. Offences related to infringements of copyright and related rights

1. Each Party shall adopt such legislative and other measures as may be necessary to establish as criminal offences under its domestic law the infringement of copyright, as defined under the law of that Party, pursuant to the obligations it has undertaken under the Paris Act of 24 July 1971 revising the Bern Convention for the Protection of Literary and Artistic Works, the Agreement on Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights and the WIPO Copyright Treaty, with the exception of any moral rights conferred by such conventions, where such acts are committed wilfully, on a commercial scale and by means of a computer system.

2. Each Party shall adopt such legislative and other measures as may be necessary to establish as criminal offences under its domestic law the infringement of related rights, as defined under the law of that Party, pursuant to the obligations it has undertaken under the International Convention for the Protection of Performers, Producers of Phonograms and

Broadcasting Organisations (Rome Convention), the Agreement on Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights and the WIPO Performances and Phonograms Treaty, with the exception of any moral rights conferred by such conventions, where such acts are committed wilfully, on a commercial scale and by means of a computer system.

3. A Party may reserve the right not to impose criminal liability under paragraphs 1 and 2 of this article in limited circumstances, provided that other effective remedies are available and that such reservation does not derogate from the Party's international obligations set forth in the international instruments referred to in paragraphs 1 and 2 of this article.

Title 5

Ancillary liability and sanctions

Article 11. Attempt and aiding or abetting

1. Each Party shall adopt such legislative and other measures as may be necessary to establish as criminal offences under its domestic law, when committed intentionally, aiding or abetting the commission of any of the offences established in accordance with Articles 2 through 10 of the present Convention with intent that such offence be committed.

2. Each Party shall adopt such legislative and other measures as may be necessary to establish as criminal offences under its domestic law, when committed intentionally, an attempt to commit any of the offences established in accor-

dance with Articles 3 through 5, 7, 8, and 9.1.a and c. of this Convention.

3. Each Party may reserve the right not to apply, in whole or in part, paragraph 2 of this article.

Article 12. Corporate liability

1. Each Party shall adopt such legislative and other measures as may be necessary to ensure that legal persons can be held liable for a criminal offence established in accordance with this Convention, committed for their benefit by any natural person, acting either individually or as part of an organ of the legal person, who has a leading position within it, based on:

- a. a power of representation of the legal person;
- b. an authority to take decisions on behalf of the legal person;
- c. an authority to exercise control within the legal person.

2. In addition to the cases already provided for in paragraph 1 of this article, each Party shall take the measures necessary to ensure that a legal person can be held liable where the lack of supervision or control by a natural person referred to in paragraph 1 has made possible the commission of a criminal offence established in accordance with this Convention for the benefit of that legal person by a natural person acting under its authority.

3. Subject to the legal principles of the Party, the liability of a legal person may be criminal, civil or administrative.

4. Such liability shall be without prejudice to the criminal liability of the natural persons who have committed the offence.

Article 13. Sanctions and measures

1. Each Party shall adopt such legislative and other measures as may be necessary to ensure that the criminal offences established in accordance with Articles 2 through 11 are punishable by effective, proportionate and dissuasive sanctions, which include deprivation of liberty.

2. Each Party shall ensure that legal persons held liable in accordance with Article 12 shall be subject to effective, proportionate and dissuasive criminal or non-criminal sanctions or measures, including monetary sanctions.

Section 2 Procedural law

Title 1 Common provisions

Article 14. Scope of procedural provisions

1. Each Party shall adopt such legislative and other measures as may be necessary to establish the powers and proce-

dures provided for in this section for the purpose of specific criminal investigations or proceedings.

2. Except as specifically provided otherwise in Article 21, each Party shall apply the powers and procedures referred to in paragraph 1 of this article to:

a. the criminal offences established in accordance with Articles 2 through 11 of this Convention;

b. other criminal offences committed by means of a computer system; and

c. the collection of evidence in electronic form of a criminal offence.

3. a. Each Party may reserve the right to apply the measures referred to in Article 20 only to offences or categories of offences specified in the reservation, provided that the range of such offences or categories of offences is not more restricted than the range of offences to which it applies the measures referred to in Article 21. Each Party shall consider restricting such a reservation to enable the broadest application of the measure referred to in Article 20.

